პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 62 (10456) | ოთხშაბათი, 14 მარტი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

# საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისათვის

Კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში, ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე, განხორციელდა სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია. მძლავრი საკოლმეურნეო წყობილება საბჭოთა ხელისუფლების ძვირფასი მონაპოვარია.

საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებას, რომელიც ოც წელიწადზე მეტი ხნის წინათ მიიღო კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობამ. წესდებაში განზოგადებული იყო იმ დროისათვის შეძენილი გამოცდილება კოლექტიური მეურნეობის გაძღოლისა. არტელის წესდების მიღებიდან დღემდე საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებები მოხდა: შეძენილია მრავალდარგოვანი საზოგადოებრივი მეურნეობის მშენებლობის ახალი, შესანიშნავი გამოცდილება, გაიზარდა კოლმეურნე გლეხობის პოლიტიკური შეგნება, საკოლმეურნეო წარმოებისათვის შექმნილია ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კოლმეურნეობები განმტკიცებულია გამოცდილი კადრებით. საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარების ამ ახალ საფეხურზე სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება ვეღარ მოიცავს კოლმეურნეობათა მრავალფეროვანი საქმიანობის ყველა მხარეს, მთელ რიგ შემთხვევებში ზღუდავს კოლმეურნეობათა ინიციატივას.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივებში დასახულია სოფლის მეურნეობის განვითარების დიადი პროგრამა. კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი განვითარების და კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების საქმეში უდიდეს როლს შეასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციასა და არტელის საქმეთა მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ“ და „კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემისა და კოლმეურნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ“.

ეს დადგენილებები საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისათვის, კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი ზრუნვის ახალი დადასტურებაა.

საკოლმეურნეო მშენებლობის მდიდარი გამოცდილება ნათლად მოწმობს, რომ საზოგადოებრივი მეურნეობა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის საფუძველია. კოლმეურნის კომლის პირად საკარმიდამო მეურნეობას უნდა ჰქონდეს მხოლოდ დამხმარე ხასიათი. მაშასადამე, თვითეულ კოლმეურნეობაში საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ საზოგადოებრივი მეურნეობა განუწყვეტლივ ვითარდებოდეს და მზარდი რაოდენობით იძლეოდეს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. გაითვალისწინეს რა საკოლმეურნეო წყობილების განვითარების თანამედროვე დონე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ მიიჩნიეს რჩევა მისცენ კოლმეურნეობებს, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველყოფის მთავარი ამოცანის საფუძველზე, თვითონ შეავსონ და შეცვალონ სასოფლო-სამეურნეო არტელის მიერ მიღებული წესდების ცალკეული დებულებანი კოლმეურნეობის ადგილობრივი, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

კოლმეურნეთა კომლების საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობის დადგენა არტელის საზოგადოებრივ მეურნეობაში კოლმეურნის ოჯახის შრომისუნარიან წევრთა შრომითი მონაწილეობის გათვალისწინებით მოხდება. პარტიისა და მთავრობის ახალი ღონისძიებების მიხედვით თვით კოლმეურნეთა საერთო კრება საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობასთან ერთად განსაზღვრავს კოლმეურნის კომლის პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ოდენობას, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, შრომადღეების რაოდენობას კოლმეურნეთა სავალდებულო მინიმუმისათვის. მთავარია ის, რომ ამ და სხვა მრავალი საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა კოლმეურნეობებმა დაუკავშირონ მათ წინაშე მდგომ გადაუდებელ ძირითად ამოცანებს — შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ამაღლებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებას, ამავე დროს თვითეული ცენტნერი პროდუქციის წარმოებაზე შრომის ხარჯვის შემცირებას, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდას.

საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა პირად მატერიალურ დაინტერესებას. საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების შემდგომი გადიდების მიზნით პარტიამ და მთავრობამ რჩევა მისცეს კოლმეურნეობებს შეცვალონ ფულადი შემოსავლის განაწილების სისტემა. კოლმეურნეობებს საერთო კრების გადაწყვეტილებით შეუძლიათ ყოველთვიურად აძლიონ კოლმეურნეებს წლის განმავლობაში ავანსად შრომადღეებზე სულ. ცოტა 25 პროცენტი საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგიდან ფაქტიურად მიღებული ფულადი შემოსავლისა და იმ ფულადი სახსრების 50 პროცენტი, რომლებსაც იღებენ ავანსად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონტრაქტაციით, შესყიდვითა და სავალდებულო ჩაბარებით. ფულადი შემოსავლის განაწილების ეს ახალი სისტემა კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდების დიდმნიშვნელოვანი სტიმულია.

სიახლეა შეტანილი კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების არსებულ წესში. კოლმეურნეობებს რჩევა მიეცათ თვითონ დააწესონ ბრიგადების (რგოლების), მეცხოველეობაში მომუშავე კოლმეურნეების, მტს-ების სატრაქტორო ბრიგადების მუშაკების, სპეციალისტებისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი შემადგენლობის ნატურითა და ფულით დამატებითი ანაზღაურების წესი და ოდენობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საქართველოს კოლმეურნეები მთელი საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს, მიმართულს კოლმეურნეობათა ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ, პარტიისა და მთავრობის უდიდეს ზრუნვას საკოლმეურნეო წყობილების აყვავებისათვის უპასუხებენ მძლავრი შრომითი აღმავლობით. ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ამ დადგენილებების გაცნობისას განაცხადეს, რომ არ დაიშურებენ ძალასა და ენერგიას საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის. სვირელმა კოლმეურნეებმა იკისრეს მნიშვნელოვნად გაადიდონ წელს ყურძნისა და სიმინდის მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. გარეჯის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები გულდასმით გაეცნენ ახალ დადგენილებებს, მხურვალე მადლობა უძღვნეს პარტიასა და მთავრობას კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინტერესების მტკიცედ დაცვისათვის და პირობა დადეს ვადამდე განახორციელონ მეექვსე ხუთწლედით დასახული პროგრამა.

საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციასა და არტელის საქმეების მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარება კი არ ამცირებს, არამედ ზრდის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობას კოლმეურნეობებში საქმის მდგომარეობისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია სოფლად პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება, კოლმეურნეთა შემოქმედებითი აქტივობის გაძლიერება და სოციალისტური შეჯიბრების მთელი ძალის წარმართვა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის.

# ბ ო ლ ე ს ლ ა ვ ბ ე რ უ ტ ი



12 მარტს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბოლესლავ ბერუტი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონელი ხალხის დიდი შვილი, სოციალისტური პოლონეთის მშენებლობის უნიჭიერესი ორგანიზატორი, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე.

ბოლესლავ ბერუტი დაიბადა 1892 წლის 18 აპრილს ქალაქ ლიუბლინში პოლონელი მუშის ოჯახში. 1912 წლიდან იგი აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მუშათა მოძრაობაში. 1918 წელს პოლონეთის კომუნისტური პარტიის შექმნის მომენტიდან ბერუტი შევიდა პოლონეთის კომუნისტურ პარტიაში და მალე მისი აქტიური მოღვაწე გახდა. რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ბევრჯერ განიცადა დევნა და დაპატიმრება.

პოლონეთის ჰიტლერული ოკუპაციის პერიოდში ბოლესლავ ბერუტი წინააღმდეგობის მოძრაობის, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის პოლონელი ხალხის ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი იყო. 1944 წლის 1 იანვარს იგი არჩეულ იქნა იატაკქვეშეთში შექმნილი სახალხო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს — კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდენტად, მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიის ჯარებმა პოლონეთის ჯარის სახელოვან მეომრებთან ერთად 1944-1945 წლებში გაათავისუფლეს პოლონეთი, პოლონელმა ხალხმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მეთაურობით, რომლის ხელმძღვანელი მოღვაწე ბოლესლავ ბერუტი იყო, განახორციელა ძირეული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, და პოლონეთში დამყარდა სახალხო დემოკრატიის წყობილება.

1947-1952 წლებში ბოლესლავ ბერუტი პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე იყო, ხოლო 1952-1954 წლებში — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. 1954 წლის მარტში იგი არჩეულ იქნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ბერუტი მთელ ძალღონეს ახმარდა პოლონელი ხალხის ბედნიერებისათვის, ახალი, სოციალისტური პოლონეთის შექმნისათვის ბრძოლას.

მთელი თავისი პარტიული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის მანძილზე ბოლესლავ ბერუტი მტკიცედ იდგა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე, განუხრელად იცავდა პოლონეთის მუშათა კლასისა და მისი პარტიის საბრძოლო ტრადიციებს, პარტიისა, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან ნახევარი საუკუნის საერთო რევოლუციური ბრძოლით, იდეური ერთობით, მეგობრობითა და ძმობით.

თავის გამოსვლებში ბოლესლავ ბერუტი მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა პოლონელი და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის დიდ მნიშვნელობას, მოუწოდებდა სოციალისტური ბანაკის ძალების შემდგომი დარაზმვისაკენ. სულ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ტრიბუნიდან იგი შთაგონებით ამბობდა: „პოლონეთის მუშათა კლასის რევოლუციური ტრადიციები, მისი პოლიტიკური გაერთიანება, მთელი სოციალისტური ბანაკის ხალხთა მეგობრობა და დარაზმულობა, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მზარდი საბრძოლო აქტივობა, საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიული გმირობით აღფრთოვანებული ჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლა განამტკიცებენ პოლონეთის მშრომელი მასების ნებას სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლაში“.

ამხანაგი ბერუტი ცნობილია როგორც საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ნაცადი მოღვაწე. პოლონეთის მუშათა კლასმა, პოლონელმა ხალხმა ბოლესლავ ბერუტის სახით მოგვცეს გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა ახალი, სახალხო პოლონეთის შექმნისათვის, სოციალისტური ქვეყნების დიადი თანამეგობრობის შექმნისათვის. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მოღვაწეობაში. ომის შემდეგ იგი მონაწილეობას იღებდა კომუნისტური და მუშათა პარტიების საინფორმაციო ბიუროს მუშაობაში.

ბოლესლავ ბერუტის სახით პოლონეთისა და ყველა ქვეყნის მშრომელებმა დაკარგეს მედგარი მებრძოლი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თავდადებით მოახმარა მუშათა კლასის საქმისადმი, კომუნიზმისათვის ბრძოლის დიადი საქმისადმი სამსახურს.

თავისი დაბადების მესამოცე წლისთავზე 1952 წელს ბოლესლავ ბერუტი ამაყად აცხადებდა, რომ ინტელექტუალური და მორალური ძალების წყარო, თვითეული ჩვენგანის ზრდისა და განვითარების წყაროა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები. მარქსიზმ-ლენინიზმისადმი უსაზღვრო ერთგულება ბოლესლავ ბერუტის სულიერი სახის მთავარი ნიშანია.

ამხანაგ ბერუტის მთელი სიცოცხლე შესანიშნავი მაგალითია ყველასათვის, ვინც იბრძვის მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის. ბოლესლავ ბერუტის ნათელი სახე არასოდეს არ წაიშლება ჩვენს ხსოვნაში.

მშვიდობით, ჩვენო დაუვიწყარო მეგობარო და მებრძოლო ამხანაგო!

| | | |
|---|---|---|
| ნ. ბულგანინი | მ. პერვუხინი | დ. შეპილოვი |
| კ. ვოროშილოვი | მ. საბუროვი | ე. ფურცევა |
| ლ. კაგანოვიჩი | მ. სუსლოვი | ნ. შვერნიკი |
| ა. კირიჩენკო | ნ. ხრუშჩოვი | ა. არისტოვი |
| გ. მალენკოვი | გ. ჟუკოვი | ნ. ბელიაევი |
| ა. მიქოიანი | ლ. ბრეჟნევი | პ. პოსპელოვი |
| ვ. მოლოტოვი | ნ. მუხითდინოვი | |

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 12 მარტს, 23 საათსა და 35 წუთზე, მძიმე ავადმყოფობის (მიოკარდის ინფარქტის) შემდეგ მოსკოვში გარდაიცვალა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, პოლონელი ხალხის დიდი შვილი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბოლესლავ ბერუტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

ძვირფასო მეგობრებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დიდ სამძიმარს უცხადებენ პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას, პოლონეთის მთავრობასა და ხალხს იმის გამო, რომ გარდაიცვალა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ბოლესლავ ბერუტი — პოლონელი ხალხის დიდი შვილი, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე.

ბოლესლავ ბერუტის სიკვდილი მძიმე დანაკლისია პოლონელი ხალხისათვის, საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, სოციალისტური ქვეყნების დიადი თანამეგობრობისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის. ამხანაგ ბერუტის სახით პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიამ და მთელმა პოლონელმა ხალხმა დაკარგეს თავიანთი ნაცადი პოლიტიკური ხელმძღვანელი და სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლის ორგანიზატორი.

ბოლესლავ ბერუტის სახელოვანი ცხოვრება და მოღვაწეობა შთამაგონებელი მაგალითი იქნება კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში, რომელთა სამსახურს მოახმარა მთელი თავისი ძალღონე ამხანაგმა ბერუტმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

## პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდ სამძიმარს უცხადებენ პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას, მთავრობას, მეგობარ პოლონელ ხალხს იმის გამო, რომ გარდაიცვალა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ბოლესლავ ბერუტი — საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ნაცადი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელი.

ამხანაგ ბერუტის — მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის მგზნებარე მებრძოლის, საბჭოთა ხალხის ერთგული მეგობრის ნათელი სახე მუდამ იქნება კომუნიზმის დიადი საქმისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

## პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის მიმართვა პოლონელი ხალხისადმი

ვარშავა, 13 მარტი. (საკდესი). პოლონეთის პრესის სააგენტო აქვეყნებს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის შემდეგ მიმართვას ყველა მშრომელისადმი, პოლონელი ხალხისადმი:

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო და მთავრობა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ჩვენი ქვეყნის მთელ ხალხს — მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციასა და ახალგაზრდობას, რომ 12 მარტს მოსკოვში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ბოლესლავ ბერუტი.

ეს მძიმე დანაკლისია პოლონეთის მუშათა კლასისათვის, რომლის დაუცხრომელი მებრძოლი იყო ამხანაგი ბერუტი, ყველა მშრომელისათვის, რომელთა ერთგული შვილი იყო იგი, ხალხისათვის, რომლის თავისუფლებისა და უკეთესი მომავლისათვის იბრძოდა იგი ჭაბუკობიდან მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე.

ახალგაზრდა მბეჭდავი იყო იგი, როდესაც ჩადგა სოციალიზმის საქმისათვის მებრძოლთა რიგებში. იგი იწრთობოდა როგორც პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის მოღვაწე მეფის დამპყრობთა, გერმანელ-ავსტრიელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. პოლონეთის კომუნისტური პარტიის შექმნისთანავე იგი დგება მისი დროშის ქვეშ. ომებს შორის წლებში, დევნითა და მრავალგზის დაპატიმრებით გაუტეხელი, იგი ენთუზიაზმით და თავგანწირვით რაზმავს მუშებსა და მშრომელებს, ინტელიგენციასა და ახალგაზრდობას კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლების წინააღმდეგ, პურისა და სამუშაოსათვის, დემოკრატიული თავისუფლებებისათვის, მშვიდობისა და ხალხის ძალაუფლებისათვის საბრძოლველად. როგორც საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე, იგი მონაწილეობას იღებს მოძმე პარტიების რევოლუციურ ბრძოლაში.

ჰიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ ჩვენი ხალხის ყველაზე მძიმე ბრძოლის წლებში ამხანაგ ბერუტის — „ტომაშის“ სახელი განუყრელად იყო დაკავშირებული პოლონეთის მუშათა პარტიის გმირულ ისტორიასთან, რომლის ერთ-ერთი შემქმნელი იგი არის. ამხანაგი ტომაში იყო ორგანიზატორი და თავმჯდომარე კრაიოვა რადა ნაროდოვას — პოლონელი ხალხის პირველი დემოკრატიული წარმომადგენლობისა, რომელიც იბრძოდა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის.

სახალხო პოლონეთის წლები განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ ბერუტის — პრეზიდენტის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, სრულიად პოლონეთის ეროვნული ფრონტის კომიტეტის თავმჯდომარის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მუშაობასთან. ამხანაგი ბერუტი ხალხის ხსოვნაში დარჩა როგორც შეუდრეკელი მებრძოლი სახალხო ხელისუფლების განმტკიცებისათვის, პოლონეთის საზღვრებისათვის ოდერსა და ნეისზე, მუშათა მოძრაობის გაერთიანებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, ჩვენი ქვეყნის აღდგენისათვის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის, პოლონეთის პოზიციების განსამტკიცებლად მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

მგზნებარე პატრიოტი, იგი იყო საბჭოთა კავშირთან, ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან სახალხო პოლონეთის ძმური მეგობრობის დამცველი, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დამცველი, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის მგზნებარე მებრძოლი.

მუშათა კლასი, მთელი ხალხი მას იცნობდა როგორც პარტიის მოწინავე მოღვაწეს, პარტიისა, რომელიც მათი ხელმძღვანელია შრომასა და ბრძოლაში და რომელსაც იგი ემსახურებოდა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, იცნობდა როგორც კომუნიზმისათვის შეუდრეკელ მებრძოლს.

დიდება მის ხსოვნას!

## საფრანგეთში ბროშურად გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობისადმი

პარიზი, 12 მარტი. (საკდესი). საფრანგეთში ასიათასი ცალი ტირაჟით ბროშურად გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობისადმი. როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, ბროშურამ ფრანგი მშრომელების დიდი ინტერესი გამოიწვია.

პარტიული ცხოვრება

# ავამაღლოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა

პარტიის XX ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ განვლილ პერიოდში მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა პარტიული ორგანოების კადრებით განმტკიცებისა და მათი სტრუქტურის გარდაქმნისათვის. სოფლად პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებისათვის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო გარდაექმნა პარტიის სასოფლო რაიკომების სტრუქტურა. შეიქმნა ინსტრუქტორთა ჯგუფები, რომლებსაც მეთაურობენ პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები მტს-ების ზონებში.

მეორე წელია, რაც ველისციხის მტს-ის ზონაში შეიქმნა ინსტრუქტორთა ჯგუფი რაიკომის მდივნისა და ორი ინსტრუქტორის შემადგენლობით. ჩვენთვის თავიდანვე გასაგები იყო, რომ ჩვენი ამოცანაა ვიმუშაოთ ადამიანებთან, მივაღწიოთ კოლმეურნეობათა ეკონომიკის ამაღლებას, ყურძნის, ხორბლისა და სიმინდის უხვ მოსავალს, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას.

ერთ-ერთი პირველი საკითხი, რომელიც რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფს უნდა გადაეწყვიტა, იყო კოლმეურნეობებისა და მტს-ის განმტკიცება კადრებით — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებით, პარტიული ორგანიზაციების მდივნებით, სატრაქტორო, მევენახეობის და მემინდვრეობის ბრიგადების ხელმძღვანელებით, მეცხოველეობის ფერმების გამგეებით. მეცხოველეობის ფერმების გამგეებად გაიგზავნენ საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები ნ. მენთეშაშვილი, ი. მამუჩაშვილი, ვ. ახვერდიშვილი, ლ. მურადოვი, ბ. ბიწკინაშვილი, ნ. გელოვანი, ო. მეგრელიშვილი და სხვ. ფერმებში შეიქმნა პარტიული ჯგუფები. ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ახალგაზრდა აგრონომი დ. მამისაშვილი.

ცნობილია, რომ რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფს კოლმეურნეობებში კონკრეტული საქმეების გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ პირველადი პარტიული ორგანიზაციების აქტიური დახმარებით, მათზე დაყრდნობით. ამისათვის კი საჭირო იყო მათი როლის ამაღლება. მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში ამ მიზნით პერიოდულად ეწყობა საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარები. ჩატარდა აგრეთვე პარტჯგუფორგების სემინარი თემაზე: „როგორ მოვაწყოთ პარტიული ჯგუფების მუშაობა".

ის პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას სწორად ახამებენ სამეურნეო საქმიანობასთან, მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევენ. მტს-ის პარტიულ ორგანიზაციაში 40 კომუნისტია. პარტბიურომ გააძლიერა სატრაქტორო ბრიგადები კომუნისტებით. რვა სატრაქტორო ბრიგადიდან ექვსს კომუნისტები ხელმძღვანელობენ.

მტს-ის პარტიული ორგანიზაციის ბიურო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას. თებერვალში ღია პარტიულმა კრებამ განიხილა საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადების საკითხი. პარტიულმა ბიურომ კრების დადგენილების შესრულების შემოწმების მიზნით შეისწავლა მე-3, მე-4 და მე-7 სატრაქტორო ბრიგადებში საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მდგომარეობა და განახორციელა ორგანიზაციული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს მინდვრის სამუშაოთა ჩატარებას აგროტექნიკურ ვადებში.

კარგად მუშაობს მტს-ის კედლის გაზეთი „ტრაქტორისტი". სატრაქტორო ბრიგადებში გამოდის საველე ფურცლები. მათს გამოშვებაში აქტიურად მონაწილეობენ ტრაქტორისტები, სპეციალისტები და სხვ. მტს-ში მოწყობილია სოციალისტური შეჯიბრების მაჩვენებელთა დაფა. ყოველ ათ დღეში ერთხელ ხდება გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა მოწინავე სატრაქტორო ბრიგადისა და წარჩინებული ტრაქტორისტებისათვის.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები იბრძვიან, რათა აამაღლონ კომუნისტთა ავანგარდული როლი კოლმეურნეობებში, საქმის ცოდნით უხელმძღვანელონ სოფლის მეურნეობას, მიაღწიონ სოციალისტური მიწათმოქმედების ახალ მძლავრ აღმავლობას. მაგრამ მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და თვით რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სოფლების კალაურის და ახაშნის კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებში. კალაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციაში (მდივანი ი. ჯადუგიშვილი) დაბალ იდეურ დონეზე ეწყობა როგორც ბიუროს სხდომები, ისე პარტიული კრებები. საკითხების მომზადებასა და განხილვაში სრულიად არ მონაწილეობს კომუნისტთა ერთი ნაწილი. საკოლმეურნეო შრომაში დაბალია კომუნისტების ავანგარდული როლი. პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ შეძლო ადამიანების სწორად შერჩევა და განაწილება, არცერთი კომუნისტი და კომკავშირელი არ გაუგზავნია ფერმებში სამუშაოდ. მეცხოველეობის მუშაკებთან სუსტად წარმოებს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ესეც იმის ერთ-ერთი მიზეზია, რომ კოლმეურნეობაში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენს.

ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში" და სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში სათანადო სიმაღლეზე არა დგას შინაპარტიული მუშაობა. კომუნისტების საგრძნობ ნაწილს მთელი წლის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღიათ პარტიულ კრებებზე საკითხების განხილვაში. პარტიული ორგანიზაციები სუსტად ახორციელებენ კოლმეურნეობათა გამგეობების სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას. გასულ სამეურნეო წელს კოლმეურნეთა მნიშვნელოვან ნაწილს გამომუშავებული არ ჰქონდა შრომადღეების დაწესებული სავალდებულო მინიმუმი. ორივე კოლმეურნეობაში განსაკუთრებით ცუდი მაჩვენებლები აქვთ იმ ბრიგადებს, რომლებსაც კომუნისტები ქ. ტატიაშვილი, ნ. იმედაშვილი, დ. ოსკანოვი, ვ. მათუზოვი და რ. მემარნიძე ხელმძღვანელობენ. აქტიურად არ მუშაობენ კოლმეურნეობაში კომუნისტების გ. სამნიაშვილის, მ. ბაირამოვის, მ. ზალუაშვილის, შ. ჯანიაშვილის და სხვათა ოჯახის წევრები.

კალაურის, შაშიანისა და ველისციხის კოლმეურნეობათა პირველადი პარტორგანიზაციები არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას უწევენ კომკავშირის პირველადს ორგანიზაციებს, რის შედეგად ახალგაზრდობის ერთი ნაწილი აქტიურად არ მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში.

რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფმა შეისწავლა და რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგნად გახადა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პარტბიუროების სხდომების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა. დასახულ იქნა სათანადო ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ პარტბიუროების მუშაობის გაუმჯობესებას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი კოლმეურნეობის პარტბიურო (კალაური, ახაშენი) ჯერ კიდევ არ წარმოადგენს კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოს. კალაურის კოლმეურნეობაში პარტბიუროს სხდომა ორი თვის განმავლობაში არ მოუწვევიათ. ახაშნისა და ველისციხის კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების მიერ შედგენილი სამუშაო გეგმები არ მოიცავს პარტიული ცხოვრების ძირითად საკითხებს.

პარტიული მუშაობის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ჯერ კიდევ არ სარგებლობს პატივისცემით კრიტიკა და თვითკრიტიკა. ველისციხის, კალაურისა და შაშიანის კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებში კრებები ხშირად ისე ეწყობა, რომ კომუნისტები არ აშკარავებენ პარტბიუროსა და გამგეობის მუშაობის ნაკლოვანებებს.

იმისათვის, რომ პრაქტიკულად განვახორციელოთ პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები და უზრუნველვყოთ შემდგომი წარმატებითი წინსვლა, საჭიროა ავამაღლოთ ბრძოლისუნარიანობა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა, რომლებიც ჩვენი პარტიის საფუძველს წარმოადგენენ. ყრილობამ სასოფლო პარტიულ ორგანიზაციებს საბრძოლო ამოცანად დაუსახა მკვეთრად მობრუნდნენ სამეურნეო მშენებლობისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობის საკითხებისაკენ, გააძლიერონ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკისა და ეკონომიკის შესწავლა, რათა საქმის ღრმა ცოდნით უხელმძღვანელონ მათს მუშაობას.

რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი ველისციხის მტს-ის ზონაში მთელ თავის მუშაობას წარმართავს პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

**ი. სიხარულიძე,**
საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის მდივანი ველისციხის მტს-ის ზონაში.



თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივი პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული გაორკეცებული ენერგიით იბრძვის დავალებების პირნათლად შესრულებისათვის. სურათზე: მოწინავე მრთველი ტ. კისელიოვა, რომელიც ყოველდღიურ გეგმებს 130-135 პროცენტით ასრულებს.

ფოტო შ. გოქაძისა.

## შორაპნელი რკინიგზელების მიღწევა

შორაპანი. („კომუნისტის" კორ.). შორაპნის სავაგონო დეპოს კოლექტივმა პარტიის XX ყრილობის შემდგომ დღეებში შესამჩნევად გააძლიერა მუშაობის ტემპი. სატვირთო ვაგონების კაპიტალური რემონტის ორი თვის გეგმის ვადაზე ორი კვირით ადრე შესრულებასთან ერთად დეპოელებმა 16 პროცენტის გადამეტებით გაანაღდეს ვაგონების საშუალო რემონტის დავალება, 30 პროცენტით შეამცირეს ვაგონების დატვირთვა-განტვირთვისათვის ნორმით დაწესებული დრო.

მარტში მევაგონეები კიდევ უფრო მაღალნაყოფიერად მუშაობენ, დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

## „როცა კრიტიკას ვერ იტანენ"

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა სტატია, სადაც მხილებული იყო ზესტაფონის რაიონის სოფელ ბოსლევის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის დ. მჭედლიძის თავგასულობა, მის მიერ კრიტიკის ჩახშობა, ამის შედეგად გამეფებული მლიქვნელობა და საკოლმეურნეო წესდების უხეშად დამახინჯების ფაქტები.

საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის მდივანი ამხ. გ. არევაძე გვატყობინებს:

შემოწმებულ იქნა სოფელ ბოსლევის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის საქმიანობა და გამოირკვა, რომ კოლმეურნეობაში ადგილი ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ფაქტებს, მოუწესრიგებელი იყო აღრიცხვა და ანგარიშსწორება, განიავებულ იქნა ... განადგურებული აღმოჩნდა საკოლმეურნეო ტყეების ნაწილი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. მჭედლიძე უხეშად ეპყრობოდა კოლმეურნეებს და სხვ.

კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ გამგეობის მუშაობა შეაფასა არადამაკმაყოფილებლად და აღნიშნული ბრალდებების გამო კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე დ. მჭედლიძე მოხსნა თანამდებობიდან. დასახულია ღონისძიებები კოლმეურნეობის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

## ნაკლოვანებანი ქალაქ რუსთავის დაგეგმარებასა და მშენებლობაში

მეექვსე ხუთწლედის გრანდიოზული პროგრამა ახალ პერსპექტივებს სახავს საქართველოს მეტალურგთა ქალაქის რუსთავის შემდგომი გაფართოებისა და მშენებლობისათვის.

1956-1960 წლებში ქალაქის საწარმოთა, დაწესებულებათა და მშენებლობათა მუშა-მოსამსახურეთათვის განკუთვნილი საბინაო ფონდი 80 ათასი კვადრატული მეტრით გაიზრდება. საგრძნობლად გაძლიერდება აგრეთვე სოციალურ-კულტურულ და საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობა, რომლის ღირებულება 35 მილიონ მანეთს მიაღწევს.

მეექვსე ხუთწლედში რუსთავში აშენდება სამი ახალი სკოლა, მუსიკალური სასწავლებელი, სასტუმროს ახალი შენობა, აბანო, საბავშვო საავადმყოფო, თეატრი 1.200 მაყურებლისათვის, დახურული სასპორტო პავილიონი და სხვ.

კომუნალური მშენებლობის ობიექტებზე, ქალაქის კეთილმოწყობასა და გამწვანებაზე დიდი თანხების დაბანდებაა გათვალისწინებული.

ამ დიდი ამოცანების შესასრულებლად საჭიროა აღმოიფხვრას ქალაქის დაგეგმარებისა და მშენებლობის პრაქტიკაში არსებული სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებანი.

ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი, რომელიც აფერხებს ქალაქის მშენებლობაში ახალი, პროგრესული კონსტრუქციების ათვისებასა და დანერგვას, ტიპური დაპროექტების ჩამორჩენაა. მოძველდა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლების დამტკიცებული 209-ე სერიის ტიპური პროექტები (ავტორი არქიტექტორი ლ. სუმბაძე), რომლებითაც აშენებულია ქალაქის კვარტალების საგრძნობი ნაწილი. სასურველი შედეგები არ გამოიღო აგრეთვე რუსეთის და სხვა მოძმე რესპუბლიკებისათვის დამტკიცებული ტიპური პროექტების გამოყენებამ.

3-4 და 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ტიპური პროექტების უქონლობის გამო ძირითადად ინდივიდუალური პროექტებით წარმოებს. ასეთივე პროექტებით ხორციელდება სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო ობიექტების უმეტესი ნაწილის აგება.

საპროექტო ორგანიზაციები რუსთავში ჯეროვნად არ იყენებენ ადგილობრივ მდიდარ შესაძლებლობებს. რუსთავის მშენებლობის ტექნიკური ბაზა, მისი მექანიზაციის მაღალი დონე საშუალებას იძლევა წარმატებით ვაწარმოოთ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების, მსხვილბლოკებიანი საკედლე მასალის, ასაწყობი იატაკებისა და შენობის სხვა ნაწილების გამოყენება სამრეწველო, სამოქალაქო და საბინაო მშენებლობაში.

მოწესრიგებული არ არის რუსთავში ქალაქის კვარტალების დეტალური დაგეგმარებისა და მშენებლობის ცალკეული მნიშვნელოვანი ობიექტების პროექტების განხილვა და დამტკიცება.

ამ გარემოებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა პროექტების ხარისხზე. მათში დაშვებულია არქიტექტურული ზედმეტობანი: შენობის ფასადების გარეგნული გაფორმებით გატაცება, შიდა დაგეგმარების დაბალი ხარისხი, სათავსების არარაციონალური გამოყენება. მაგალითად, მშენებლობის პროცესში მყოფი ადმინისტრაციული სახლის შენობის მოცულობა ნორმებთან შედარებით ერთიორად არის გადიდებული (ავტორი არქიტექტორი თ. ქაშაკაშვილი). ფასადის გაფორმების მიზნით არქიტექტურული დეტალებით გადატვირთულია ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სამმართველოს შენობა (ავტორი არქიტექტორი მ. ნეპრინცევი).

მეტალურგთა კულტურის სასახლის (არქიტექტორი მ. ნეპრინცევი) მოცულობა 31 ათას კუბურ მეტრს აღემატება. სასახლეში მოთავსებულ [illegible] მხოლოდ 150 კაცისათვის, მაშინ როცა მესამე სართულის ცენტრალური ნაწილი მთლიანად ფართო, ღია კოლონებით შემოფარგლულ ვერანდებს უკავია. მათ ხარჯზე მიზანშეწონილი იქნებოდა დამატებითი სათავსების განლაგება.

1953-54 წლებში აშენებულ საცხოვრებელ სახლებში, ცენტრალური პროსპექტის ხიდწინა მოედანზე, მეხუთე სართულის სათავსების შიდა გეგმა „მსხვერპლად შეეწირა" ფასადის არქიტექტურულ გაფორმებას — ოთახების ფანჯრების რაფები იატაკიდან 160 სანტიმეტრის სიმაღლეზეა მოთავსებული. ნაკლოვანებები ახასიათებს აგრეთვე ცენტრალურ პროსპექტზე აგებულ სამსართულიან 7 სახლს („საქსახპროექტი" — მე-11 ტიპი). ჩამოთვლილი მაგალითები გამონაკლისს არ შეადგენს. დროა ბოლო მოეღოს მშენებლობის ეკონომიკის საკითხების უგულებელყოფას.

იმისათვის, რომ არქიტექტორების ყურადღება ძირითადად მიმართულ იქნას მშრომელთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისაკენ, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი. ახალ შენობებში ჩასახლებული მობინადრენი სერიოზულ პრეტენზიებს უყენებენ ჩვენს არქიტექტორებს. ბინებში ბევრი უხერხულობაა: ვიწრო და გრძელი ოთახები, რომლებსაც დიდი რაოდენობით აქვს კარ-ფანჯრები, აძნელებს ავეჯის განლაგებას, ოთახების ნაწილი ბნელია, უხარისხო და მოუხერხებელია დამხმარე სათავსები.

ყველაფერი ეს მოუფიქრებელი დაგეგმარების, არქიტექტურული გაფორმებით გატაცების ბრალია. მშენებლობის პროცესში მყოფი ობიექტების პროექტების წინასწარმა გადასინჯვამ და გადამუშავებამ ცხადყო, თუ რა დიდი და მძლავრი ჯერ გამოუყენებელი საშუალებები არსებობს მშენებლობის გასაიაფებლად.

მშენებლობაში მყოფი ობიექტების პროექტების გადასინჯვას შემოქმედებითად უნდა მივუდგეთ და არ დავუშვათ „გაუბრალოება". „გაუბრალოების" ტენდენციას საერთო არაფერი აქვს არქიტექტურული ზედმეტობის აღმოფხვრასთან.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი დაპროექტების საქმის გაუმჯობესებას, სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებას და სამშენებლო დეტალების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც მშენებლობის ხარისხის ამაღლების საწინდარია.

უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს სამშენებლო სამუშაოთა შესრულების ხარისხს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. გაუარესდა ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ხის დამმუშავებელი კომბინატის (დირექტორი გ. ევგენიძე) მიერ დამზადებულ ნაკეთობათა და დეტალთა ხარისხი. მშენებლობის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა არათანმიმდევრული შესრულება. მაგალითად, შიგა შელესვის დაწყება შენობის სახურავის დაუმთავრებლად, გამოუშრობი კედლების შეღებვა და სხვ. სამშენებლო სამუშაოების უხარისხოდ შესრულება, ტექნიკური პირობებისა და ნორმების დარღვევა ზრდის მასალებისა და მუშახელის რესურსების ხარჯვას, აძვირებს მშენებლობას, აუარესებს ექსპლოატაციის პირობებს.

რუსთავის დაგეგმარებისა და მშენებლობის პრაქტიკაში არსებული შეცდომებისა და ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრა მშენებლებს დიდად დაეხმარება პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად 1956 წლისათვის ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებაში.

**შ. გალაშვილი,**
ქალაქ რუსთავის მთავარი არქიტექტორი.

## პურის მექანიზებული ქარხანა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის კვების საწარმოებს კიდევ ერთი ობიექტი შეემატა: მუშაობაში ჩადგა პურის მეორე მექანიზებული ქარხანა.

ახალი ქარხანა, რომლის მშენებლობაზე ოთხნახევარი მილიონი მანეთი დაიხარჯა, აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და ამჟამად ყოველდღიურად უშვებს 20-25 ტონა პროდუქციას, სრული სიმძლავრით ამუშავებისას კი გამოუშვებს 50 ტონა პურს.

ეს გაკეთდება მეექვსე ხუთწლედში

# წყალთა მეურნეობის სამუშაოები

საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. შემოქმედებითი შრომის დიადი პროგრამა, რომელიც პარტიის ყრილობამ დასახა, მშრომელთა ფართო მასებს ახალ ძალებს მატებს სამშობლოს საკეთილდღეო შრომისათვის.

ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის — მარცვლეული მეურნეობის შემდგომ მძლავრ განვითარებას. 1960 წელს მარცვლეულის საერთო მოსავლის 11 მილიარდ ფუთამდე აყვანა საშუალებას მოგვცემს დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება პურზე, გავადიდოთ სახელმწიფო რეზერვები, შევქმნათ აუცილებელი მარაგი კოლმეურნეობებში.

სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი განვითარების ინტერესები განსაზღვრავენ წყალთა მეურნეობის მუშაკთა დიდ ამოცანებს სარწყავი სისტემების მშენებლობის, დასაშრობი ქსელის მოწყობის, ექსპლოატაციაში მყოფი სისტემების მოვლისა და სრულფასოვნად გამოყენების საქმეში.

პარტიის XX ყრილობის დირექტივებით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გათვალისწინებულია ჩვენს რესპუბლიკაში 40 ათას ჰექტარზე სარწყავი სისტემების და 10 ათას ჰექტარზე დასაშრობი ქსელის მოწყობის სამუშაოები, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მთლიანად დამთავრება და მისი მუდმივ ექსპლოატაციაში გადაცემა.

ზემო სამგორის სარწყავი სისტემა ერთ-ერთი დიდი და რთული საინჟინრო ნაგებობაა. იგი მორწყავს თბილისის გარშემო მდებარე 41 ათას ჰექტარ ფართობს, რომელიც საუკუნეობით გამოუყენებელი იყო.

ამჟამად დამთავრებულია ამ სისტემის მშენებლობის ძირითადი სამუშაოები, რის შედეგადაც დროებით ექსპლოატაციაშია გადაცემული სარწყავად მომზადებული 16 ათას ჰექტარამდე ფართობი და სამგორის ზედა მაგისტრალური არხის ვარდნილებზე აგებული სამი ჰიდროელექტროსადგური.

მეექვსე ხუთწლედში დამთავრდება სარწყავი ქსელის მოწყობა დარჩენილ 25 ათას ჰექტარზე და მთელი სისტემა გადაეცემა მუდმივ ექსპლოატაციაში. სამგორის მთლიანი ფართობის წყლით უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია სიონის წყალსაცავის აგება მდინარე იორზე. ამჟამად საქართველოს ჰიდროენერგომშენი აწარმოებს ამ წყალსაცავის პირველი რიგის მშენებლობას, რომლის დამთავრების შემდეგ ზედა სამგორის მასივი მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება სარწყავი წყლით. გარდა ამისა, გაუმჯობესდება წყლით უზრუნველყოფა საგარეჯოს, კაჭრეთის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების კოლმეურნეობათა ქვედა ფართობებისა, სადაც ზაფხულის პერიოდში დიდი სიძნელეები იქმნება მდინარე ივრის წყალმცირობის გამო.

ჩვენ ყველა საშუალება გვაქვს როგორც ზედა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა, ისე სიონის წყალსაცავის პირველი რიგის სამუშაოები დავამთავროთ 1958 წლისათვის.

ამის შემდეგ დაიწყება სიონის წყალსაცავის მეორე რიგისა და ქვედა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რომლის დამთავრება საბოლოოდ გადაწყვეტს გარეკახეთის კოლმეურნეობათა მიწების მორწყვის ამოცანას. საგარეჯოს, კაჭრეთისა და სიღნაღის რაიონებში გაუქმდება ამჟამად არსებული მრავალი პრიმიტიული არხი. ამ არხების დროებითი ხასიათის სათავე ნაგებობათა მოწყობაზე ყოველწლიურად მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება.

ზედა და ქვედა სამგორის სარწყავი სისტემების ექსპლოატაციაში გადაცემის შედეგად მოირწყვება 90 ათას ჰექტარამდე ნაყოფიერი მიწები, რომელთა გამოყენება დიდად შეუწყობს ხელს თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით და მსუბუქი მრეწველობის ნედლეულით მომარაგებას.

მეექვსე ხუთწლედში დამთავრდება ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რომელიც სამგორის სარწყავი სისტემის შემდეგ მეორეა რესპუბლიკაში თავისი სირთულითა და საინჟინრო ნაგებობათა სიუხვით. ეს სისტემა მორწყავს ხაშურისა და ქარელის რაიონების კოლმეურნეობათა 12 ათას ჰექტარს და შესაძლებლობას მოგვცემს შემდეგში კიდევ მოვრწყათ 10 ათას ჰექტარამდე მიწა.

დამთავრების პროცესშია და მიმდინარე წელს ექსპლოატაციაში გადაეცემა მუხრანის სარწყავი სისტემა, რომელიც მორწყავს მცხეთის რაიონის კოლმეურნეობათა 12 ათას ჰექტარზე მეტ ფართობს.

ამავე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს მდინარე ჭოროხზე საინჟინრო ტიპის ნაპირსამაგრი სამუშაოები 13 კილომეტრის სიგრძეზე, რათა საბოლოოდ დავიცვათ ბობოქარი მდინარის წყალდიდობისაგან მის მარცხენა მხარეზე განლაგებული ნათესი ფართობები, დასახლებული პუნქტები და ქალაქი ბათუმი. მდინარე რიონზე დამთავრდება რთული სარეგულაციო ნაგებობის მშენებლობა, რის შედეგად ფოთის ტერიტორიაზე უწყლოდ დატოვებული მისი ძველი კალაპოტი გამდინარე შეიქმნება. ეს თავის მხრივ დიდად შეუწყობს ხელს ქალაქ ფოთის ტერიტორიის კეთილმოწყობას.

გარდა ამისა მეექვსე ხუთწლედში აშენებული იქნება მრავალი ახალი სარწყავი არხი აღმოსავლეთ საქართველოში, პირველ რიგში ქართლის რაიონებში, და დასაშრობი სისტემები ძირითადად დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

ამგვარად, წყალთა მეურნეობის მუშაკებს მეექვსე ხუთწლედში დიდი სამუშაოები აქვთ შესასრულებელი და ისინი მზად არიან გაანაღდონ უკლებლივ ყველა დავალება. ამის საწინდარია მათი მზარდი საწარმოო აქტივობა და საბჭოთა სახელმწიფოს მხრივ დიდი დახმარება.

წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შექმნილია ორი სამანქანო საექსკავატორო სადგური, რომლებიც საჭირო რაოდენობით არიან აღჭურვილი მიწისმთხრელი მექანიზმებით: ექსკავატორებით, ბულდოზერებით, სკრეპერებით, მიწისმწოვებით. შრომატევადი მიწის სამუშაოები ძირითადად მექანიზებულია. გასულ წელს სამშენებლო ობიექტებზე მიწის სამუშაოების 98 პროცენტი და ექსპლოატაციის ხაზით სარწყავი და საშრობი ქსელის წმენდის სამუშაოების 77 პროცენტი მექანიზმებით შესრულდა.

ძირითადად მექანიზებულია აგრეთვე ბეტონისა და რკინაბეტონის შრომატევადი სამუშაოები.

სამინისტროს ფოთის მიწისმწოვი ქარხანა ჩვენი სისტემის ორგანიზაციებს და მოძმე რესპუბლიკებს სხვადასხვა სიმძლავრის მიწისმწოვებით ამარაგებს.

გარდა ამისა, ქარხანამ აითვისა ფარების ამწე მექანიზმებისა და ლითონკონსტრუქციების დამზადების ტექნოლოგია, რაც დიდად უწყობს ხელს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის დაჩქარებას.

სოლანლუღის სარემონტო-მექანიკური ქარხანა, რომლის მუდმივი ექსპლოატაცია წელს დაიწყო, წარმოადგენს სამინისტროს მთავარ ბაზას მექანიზმებისა და ავტომანქანების კაპიტალური შეკეთების, აგრეთვე ლითონკონსტრუქციების ქარხნული წესით დამზადების საქმეში.

წყალთა მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა ამ დიდი ტექნიკის სწორად და მაქსიმალურად გამოყენება, მოწინავეთა მიღწევების განზოგადება და წარმოებაში ფართოდ დანერგვა.

ფოთის სამანქანო-საექსკავატორო სადგურის ბრიგადირმა ამხ. არჩაიამ 0,5 კუბმეტრი ტევადობის ციცხვიანი ექსკავატორით გასულ წელს 150 ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაო შეასრულა, ბრიგადირმა ამხ. გაბელაიამ იმავე ტევადობის ციცხვიანი ექსკავატორით — 138 ათასი კუბმეტრი, მაშინ როცა ამ სადგურის ყველა ექსკავატორის საშუალო გამომუშავება 0,5 კუბმეტრი ტევადობის ციცხვიან ექსკავატორზე 71 ათას კუბმეტრს არ აღემატება.

ასევე კარგი მაჩვენებლები აქვთ თბილისის სამანქანო-საექსკავატორო სადგურის მექანიზატორებს. ექსკავატორის ბრიგადირმა ამხ. კუჩაევმა წლიური დავალება 141,4 პროცენტით გაანაღდა, მებულდოზერე ამხ. შანშიაშვილმა — 167 პროცენტით.

ფოთისა და თბილისის სამანქანო-საექსკავატორო სადგურების ზოგიერთი მოწინავე მექანიზატორის მაღალი მაჩვენებლები იმაზე მეტყველებენ, თუ რაოდენ დიდია შინაგანი, ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები. ამას შემდგომში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები მოითხოვს მექანიზაციის სრული სიმძლავრით გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების შემდგომ ამაღლებას, ახალი პროგრესული მეთოდების დანერგვას. წყალთა მეურნეობის ობიექტების მშენებლობის დაჩქარებით და ხარისხიანად შენებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქარხნული წესით დამზადებული ბეტონისა და რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების მაქსიმალურად გამოყენებას.

რთული ტოპოგრაფიული და გეოლოგიური პირობების გამო ჩვენი საირიგაციო ობიექტების მშენებლობა მნიშვნელოვანი მასშტაბით მოითხოვს ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოთა ჩატარებას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეს სამუშაოები გაფანტულია სარწყავი მასივების მთელ ფართობზე, რაც ართულებს ბეტონის სამუშაოების წარმოებას და, რაც მთავარია, მექანიზაციის მაქსიმალურად გამოყენებას.

ამის გამო ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნული წესით დამზადებას და ადგილზე მის მონტაჟს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

სამინისტროს ისეთ ობიექტებზე, როგორიც არის სამგორის, ტაშისკარის, მუხრანის სარწყავი სისტემების მშენებლობა, შექმნილია პოლიგონის ტიპის ქარხნები, რომლებიც ამზადებენ ნახევარწრიულ მილებს არხების მოსაპირკეთებლად, წყალგამშვებებს, ბეტონის ფილებს და სხვ. ამან დიდად დააჩქარა სარწყავი ქსელის მშენებლობა, მაგრამ ამ წესს ჯერჯერობით მასობრივად ვერ ვიყენებთ. მრავალ მცირე ობიექტზე ბეტონის მომზადება კვლავ ძველი წესით წარმოებს.

წყალთა მეურნეობის სამინისტროს განზრახული აქვს შექმნას ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების დამამზადებელი ცენტრალური ქარხანა, აღჭურვოს იგი სათანადო მექანიზმებით და გადააქციოს ძირითად ბაზად მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამშენებლო ობიექტების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საქართველოს წყალთა მეურნეობის მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ სოფლის მეურნეობის დარგში მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახული დიადი ამოცანების შესრულების საქმეში.

**გ. ქოჩბულია.**
საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრი.

მთელი ძალები სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად

# აავამოქმედოთ ყველა რეზერვი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისათვის

★ ★ ★

საბჭოთა აფხაზეთის მშრომელები სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის. ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

აფხაზეთის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელების მტკიცე გადაწყვეტილებაა წელსვე მიაღწიონ ჩაის, თამბაქოს, ციტრუსების, სიმინდის, ყურძნის, ხილის და სხვა კულტურების უხვი მოსავლის მოყვანას, საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდებას.

ამის შესახებ მოგვითხრობენ ამ გვერდში დაბეჭდილი მასალები.

## ნაკლები ხარჯებით მეტი პროდუქცია

კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმის გამგედ 1953 წელს დავიწყე მუშაობა. მაშინ პირუტყვისათვის არ გვქონდა სათანადო ბინა, მოუმარაგებელი იყო საკვები, რის შედეგადაც საშუალოდ ერთი საფურაჟე ძროხის წველადობა თვეში 30-35 ლიტრს შეადგენდა. მეცხოველეობა კოლმეურნეობაში წამგებიანი დარგი იყო.

კოლმეურნეობის გამგეობამ პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად დასახა ღონისძიებანი მეცხოველეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აგებულ იქნა ახალი ტიპური კეთილმოწყობილი სადგომი 76 სული ძროხისათვის. პროდუქტიული პირუტყვი გადავიყვანეთ ბაგურ კვებაზე. აშენდა აგრეთვე ახალი ორსართულიანი სახლი ფერმის მუშაკებისათვის, მიღებულ იქნა ზომები მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად, გაუმჯობესდა პირუტყვის მოვლა, რის შედეგად 1954 სამეურნეო წელს თვითეულ საფურაჟე ძროხის წველადობამ 540 კილოგრამს მიაღწია. გასულ სამეურნეო წელს კი მივიღეთ 801 კილოგრამი რძე.

მეცხოველეობის მყარი საკვები ბაზის შექმნაში დიდი მუშაობა გასწიეს ფერმის მუშაკებმა. ჩვენი ძალებით სარძეო-სასაქონლო ფერმის მახლობლად ათვისებულ იქნა 17 ჰექტარი ახალი მიწა, სადაც დაითესა სიმინდი. სათანადო მოვლის შედეგად მაღალი მოსავალი მივიღეთ. 7 ჰექტარზე აუღეთ და დავასილოსეთ 175 ტონა სიმინდის მწვანე მასა, მათ შორის 25 ტონა სიმინდის ტარო რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში, ხოლო 10 ჰექტარზე მივიღეთ 56 ტონა სიმინდი მარცვლად. აგრეთვე ერთ ჰექტარზე მოვიყვანეთ საკვები საზამთრო. ერთი ცენტნერი სიმინდის მოყვანაზე დაიხარჯა საშუალოდ 2 შრომადღე.

1954 წელს საშუალოდ ერთი ძროხის შენახვა 1.760 მანეთი დაგვიჯდა. შემოსავალი კი 1.160 მანეთი მივიღეთ. ეს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 1955 წელს, როცა ერთი საფურაჟე ძროხის შენახვა 1.760 მანეთი დაგვიჯდა, ხოლო მივიღეთ 3.840 მანეთის რძე სახელმწიფო ფასებში, ე. ი. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოგებამ 2.080 მანეთი შეადგინა.

კარგ მაჩვენებლებს ვაღწევთ წველადობის ამაღლების საქმეში მიმდინარე სამეურნეო წელსაც. 1955 წლის 1 ოქტომბრიდან 1 თებერვლამდე 70 საფურაჟე ძროხაზე მიღებულია საშუალოდ თვითეულზე 325,5 ლიტრი რძე, მაშინ როცა ოჩამჩირის რაიონში ამ ხნის განმავლობაში წველადობის მაჩვენებელი საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე 100,8 ლიტრს შეადგენს.

ძროხების წველადობის ზრდის მხრივ განსაკუთრებით კარგ შედეგებს აღწევენ ცალკეული მწველავები. მარიამ კოვალიოვამ 14 სულ ძროხაზე მიმდინარე სამეურნეო წლის 5 თვეში მიიღო 8.834 ლიტრი რძე, წლიური გეგმა კი 12.600 ლიტრის მიღებას ითვალისწინებს. მარიამ რუჟანსკაიამ იმდენსავე ძროხაზე 8.423 ლიტრი რძე მიიღო. ასეთივე კარგი მაჩვენებლები აქვს ვალენტინა ბონდარენკოსაც. ხბოებს მზრუნველობით უვლის ზინო ჩოჩკინა.

ჩვენი კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმის კოლექტივი არ დაკმაყოფილდება მოპოვებული წარმატებებით და კიდევ უფრო გააძლიერებს ბრძოლას მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი ზრდისათვის.

**შ. ლაკვიტავა,**
ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმის გამგე.

## ჰექტარზე—500-600 ფუთი სიმინდი

თხუთმეტი წელია ვხელმძღვანელობ მეორე ბრიგადას და თითქმის ყოველწლიურად მოგვყავდა სიმინდის უხვი მოსავალი. მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, შარშან 24 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღეთ 350 ფუთი სიმინდი. წელს კი გადაწყვეტილი გვაქვს 25 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოვიყვანოთ 500 ფუთი სიმინდი. პირადად მე ერთ ჰექტარზე მოვიყვან სულ მცირე 600 ფუთ სიმინდს. ეს იქნება საქმით პასუხი პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებზე.

მეორე ბრიგადის წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა ენერგიული შრომით. სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატთა რიგები წლითი წლობით მრავლდება. მარტო შარშან შ. მარკელიამ, ტ. აბუხბაიამ, ე. ჯოლიამ, ვ. არახამიამ და სხვებმა მიაღწიეს ჰექტარზე 400-500 ფუთი სიმინდის მიღებას.

ჩვენს ბრიგადაში სასიმინდე ნაკვეთი მზად გვაქვს დასათესავად, ნიადაგი მოხნულია 22 სანტიმეტრ სიღრმეზე, თესვას 25 აპრილამდე დავამთავრებთ. გათვალისწინებული გვაქვს სიმინდი კაცთოხნოთ ოთხჯერ, თვითეულ ჰექტარზე შევიტანოთ წუნწუხის სახით 7-9 ტონა ნაკელი. კვადრატულ-ბუდობრივად დავთესავთ 10 ჰექტარს, 8 ჰექტარი მთლიანად დაითესება ჰიბრიდული თესლით, ხოლო მეორე მოსავლის მისაღებად დავთესავთ სამ ჰექტარს.

ნაკისრ ვალდებულებათა უკეთ შესრულების მიზნით ჩვენმა ბრიგადამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მესამე ბრიგადა.

**თ. კვირტია,**
გალის რაიონის სოფელ შეშელეთის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

## სამოქმედო პროგრამა მეექვსე ხუთწლედში

ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხებთან ერთად აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მშრომელები სასიხარულო დღეებს განიცდიან. ისინი დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობით სწავლობენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ჩვენი სამშობლოს ძლიერების ზრდის, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საბრძოლო პროგრამაა. ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ავლენენ გამოუყენებელ რეზერვებს, სახავენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ სწრაფად დაძლიონ ჩამორჩენა და წარმატებით შეასრულონ მეექვსე ხუთწლედში დასახული ამოცანები.

გასულ წელს წინა წლებთან შედარებით შესამჩნევად გაიზარდა ჩაის მწვანე ფოთლის, სიმინდის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ყურძნის, რძის, ხორცისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

აფხაზეთმა 1955 წელს სახელმწიფოს ჩააბარა 18 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. ამ კულტურის უხვი მოსავლის მიღებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს ვოროშილოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელების, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობა „დურიფშის" წევრებმა. მათ მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფეს 4-5 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

სოფლის მეურნეობისადმი ყურადღების შენელების შედეგად უკანასკნელ წლებში აფხაზეთში სიმინდის მოსავლიანობა ძალზე დაბალი იყო. ეს მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ. ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე შარშან წინა წელთან შედარებით 5 ცენტნერით მეტი სიმინდი მიიღეს მარცვლად.

1955 წელს ყველა კოლმეურნეობაში შემუშავებულ იქნა მეცხოველეობის განვითარების პერსპექტიული გეგმები. გარკვეული მუშაობაა გაწეული ამ გეგმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკამ მრავალი წლის მანძილზე პირველად შეასრულა წველადობის გეგმა. ერთ საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 600 კილოგრამზე მეტი რძე. გაიზარდა აგრეთვე ხორცისა და კვერცხის წარმოება, განმტკიცდა საკვები ბაზა საზოგადოებრივი პირუტყვისათვის, მეტი რაოდენობით დამზადდა კონცენტრირებული, წვნიანი და უხეში საკვები.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ გასულ წელს რესპუბლიკამ ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის ჩაბარების გეგმა. ეს უნდა აიხსნას არა მარტო შარშანდელი ზაფხულის არახელსაყრელი კლიმატური პირობებით, არამედ იმითაც, რომ ბევრ კოლმეურნეობაში დაარღვიეს თამბაქოს მოყვანის აგროწესები.

აფხაზეთის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ სრულიად არადამაკმაყოფილებელია ჩაის მოსავლიანობა. უწინარეს ყოვლისა, ამის მიზეზი ის არის, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ჩაის პლანტაციების, განსაკუთრებით ახალგაზრდა პლანტაციების მოვლას, ხოლო ბევრგან პლანტაციები ეკალ-ბარდით არის დაფარული.

ჯერ კიდევ არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

დიდი და ნათელი პერსპექტივებია გადაშლილი აფხაზეთის სოფლის მეურნეობის წინაშე მეექვსე ხუთწლედში. პარტიის XX ყრილობის დირექტივების შესაბამისად ხუთწლედის ბოლოსათვის ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის საერთო წარმოება აყვანილ უნდა იქნას 27.000 ტონამდე, ესე იგი უნდა მოიკრიფოს 8.602 ტონით მეტი, ვიდრე 1955 წელს. მიმდინარე წელს აფხაზეთმა სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 18.875 ტონამდე ჩაის ფოთოლი, მეექვსე ხუთწლედში აღდგენილ უნდა იქნას 800 ჰექტარი ჩაის პლანტაცია.

1960 წლისათვის ციტრუსოვანი კულტურები დაიკავებს 3.720 ჰექტარს, 1.500 ჰექტარით მეტს, ვიდრე ამჟამად უკავია. წელს მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი გაშენდება 350 ჰექტარზე.

მეექვსე ხუთწლედში შემდგომ განვითარებას ჰპოვებს მევენახეობა და მებაღეობა. ვენახი გაშენდება 500 ჰექტარზე, აქედან წელს — 120 ჰექტარზე. მიმდინარე ხუთწლედში გაშენდება 1.000 ჰექტარი ხეხილის ბაღები.

ხუთწლედის ბოლოსათვის დასახულია რძის საერთო წარმოების აყვანა 161.060 ცენტნერამდე, ხორცისა — 57.044 ცენტნერამდე, კვერცხისა — 7,7 მილიონ ცალამდე. ეს მაჩვენებლები ორჯერ და მეტჯერ აღემატება იმ მაჩვენებლებს, რაც ამჟამად გვაქვს.

მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით სიმინდის წარმოება 1960 წელს მიმდინარე წელ-

**ჩაის, ხორცისა და რძის საერთო წარმოება აფხაზეთში**




თან შედარებით გაიზრდება ორჯერ, წვნიანი საკვებისა — სამჯერ, უხეში საკვებისა — ერთნახევარჯერ.

ხუთწლედის დასასრულისათვის ძირითადად დამთავრდება შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და ელექტროფიკაცია კოლმეურნეობათა მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებში.

ამ დიდი და სერიოზული ამოცანების წარმატებით გადაჭრა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის წარმოებაში მოწინავე აგროზოოტექნიკური ხერხებისა და მეთოდების ფართოდ დანერგვაზე. უკანასკნელი წლების მანძილზე აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში ინერგება ისეთი მოწინავე ღონისძიებანი, როგორიც არის სიმინდისა და ბოსტნეული კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი და კვადრატული თესვა და რგვა, ბაქტერიული სასუქების გამოყენება, სიმინდის დამატებითი დამტვერვა, მერძეული პირუტყვის ბაგური და ბაგურ-ბანაკური შენახვა და სხვ. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ აგროზოოტექნიკური მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვა აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მტს-ების მხრივ ჯერ კიდევ არ გამხდარა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის განუყოფელ ნაწილად.

ცნობილია, რომ აფხაზეთის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. ამიტომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის მტკიცე მეცნიერული საფუძვლების შექმნას. სამწუხაროდ, აფხაზეთში არსებული სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებანი თავს ვერ ართმევენ ამ მეტად მნიშვნელოვან ამოცანას მათი ვიწრო სპეციალიზაციის გამო. დღემდე სრულიად შეუსწავლელია ტენიანი სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის პირობებში ისეთი სერიოზული საკითხები, როგორიც არის კოლმეურნეობათა ეკონომიკა და ორგანიზაცია, მებაღეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მემინდვრეობისა და მეცხოველეობის მექანიზაცია და სხვ. აფხაზეთის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ერთიანი კომპლექსური შესწავლა გადაუდებელი ამოცანაა. ამ მხრივ უნდა დაგვეხმარონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები.

ფართოდ გაჩაღდა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ ეს სამუშაოები ჩაის პლანტაციებში, შევარჩიოთ კარგი ხარისხის სათესლე მასალა და განუხრელად განვახორციელოთ აგროტექნიკის მოთხოვნები.

კოლმეურნეთა შრომითი აქტივობა კიდევ უფრო გაზარდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალმა დადგენილებებმა საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე. ამ ღონისძიებათა განხორციელება მკვეთრად აამაღლებს კოლმეურნეთა ინიციატივას, შრომის ნაყოფიერებას. ამ დადგენილებებით კოლმეურნეთა საერთო კრებებს დიდი უფლებები მიენიჭათ. თვითონ ისინი გადაწყვეტენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ამა თუ იმ მუხლის შევსების თუ შეცვლის საკითხებს ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებიც შეიარაღებული არიან სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, მთელ თავიანთ ძალებს დარაზმავენ მეექვსე ხუთწლედში დასახული ამოცანების სასახელოდ შესრულებისათვის.

**ა. ლვინჯილია,**
აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი.

> უზრუნველყოფილ იქნას სამეურნეო თვალსაზრისით მიზანშეწონილი განლაგება სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგებისა და მიწათმოქმედების და მეცხოველეობის სპეციალიზაცია ქვეყნის რაიონებში თვითეული რაიონის, ხოლო რაიონში—თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ბუნების და ეკონომიკის პირობების გათვალისწინებით, ამასთან მიზნად იქნას დასახული 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე პროდუქციის გამოსავლის მკვეთრად გადიდება შრომისა და სახსრების მინიმალური ხარჯვით.
>
> სკკპ XX ყრილობის დირექტივებიდან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

## დავნერგოთ მტს-ში სამეურნეო ანგარიში

უკანასკნელ ორ წელიწადში მტს-ების მუშაობაში მრავალი სიახლე დაინერგა. განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. ამან პირობები შექმნა წარმატებათა მოპოვებისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია გალის მტს-ის მუშაობა.

საკმარისია ითქვას, რომ თუ 1953 წელს თვითეული 15-ძალიანი ტრაქტორის დატვირთვა 291 ჰექტარს შეადგენდა, 1955 წელს მან მიაღწია 401,4 ჰექტარს. თვითეული ჰექტარის დამუშავება გაიაფდა 1 მანეთით და 46 კაპიკით. გასული სამეურნეო წელი 33.733 მანეთის მოგებით დავამთავრეთ, დავზოგეთ 272 ცენტნერი საწვავი.

მექანიზაციის დიდ უპირატესობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სოფელ ნარინჯოვნის კოლმეურნეობაში სასიმინდე ნაკვეთების ხვნა, ფარცხვა, თესვა, ნათესის კულტივაცია მტს-ის ძალებით მოეწყო. ამის შედეგად საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 22 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16 ცენტნერისა. მუხურის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში კი მექანიზაცია ვერ განვახორციელეთ. ამის გამო საშუალოდ ჰექტარზე 12 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. ამ კოლმეურნეობებს სიმინდის მოყვანის პირობები კი თითქმის ერთნაირი ჰქონდათ.

მექანიზატორები გულდასმით ეცნობიან ყრილობის გადაწყვეტილებებს და ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს სერიოზულ წარმატებათა მოსაპოვებლად. მათი ვალდებულებებით გათვალისწინებულია აითვისონ 330 ჰექტარი ყამირი მიწა, დამატებით 400 ჰექტარზე განახორციელონ მექანიზაცია, ფართოდ გამოიყენონ ჩაის პლანტაციის მექანიზებული გასხვლა, სასუქის შეტანა, კულტივაცია, დაზოგონ 300 ცენტნერი საწვავი, 15.000 მანეთი — სარემონტო ხარჯები, თვითეული 15-ძალიანი ტრაქტორის დატვირთვა აიყვანონ 450 ჰექტარამდე, თვითეული ჰექტარის დამუშავების თვითღირებულება შეამცირონ 1 მანეთით და 60 კაპიკით.

ცნობილია, რომ სოციალისტური წარმოების ყველა დარგში უპირველესი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო ანგარიშს. ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა პარტიის XX ყრილობამ. აუცილებელია ამთავითვე შევქმნათ ყველა პირობა სამეურნეო ანგარიშზე მტს-ის გადაყვანისათვის.

ჩვენ გადავხედეთ შინაგან ეკონომიურ რეზერვებს, შესაძლებლობებს და იმ დასკვნამდე მივედით, რომ სავსებით შეიძლება მეექვსე ხუთწლედში მტს-ი გადავიყვანოთ სამეურნეო ანგარიშზე. ამისათვის ამ წლიდანვე გავაჩაღებთ სათანადო მზადებას. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ სატრაქტორო პარკი და მნიშვნელოვნად გავადიდოთ თვითეული 15-ძალიანი ტრაქტორის დატვირთვა ყველა თვეში, მოვაწყოთ ტრაქტორების განუწყვეტელი რემონტი მთელი წლის განმავლობაში, შემდგომ განვახორციელოთ სასოფლო-სამეურნეო შრომატევად სამუშაოთა ფართო მექანიზაცია, მინიმუმამდე დავიყვანოთ უქმი სვლა, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ ადმინისტრაციული პერსონალი და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები.

ჩვენი მტს-ის კოლექტივი თავდადებით იშრომებს სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა სასახელოდ შესრულებისათვის და ახალ წარმატებებს მიაღწევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში.

**ი. უიფიანი,**
გალის მტს-ის დირექტორი.

## ყველა დარგის აღმავლობისათვის

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენი კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებში ჩადგა. კოლმეურნეები ენერგიულად შრომობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ახლა სოფლად დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით დასახული ამოცანების განუხრელად შესრულებისათვის.

კოლმეურნეობის ეკონომიკის ძლიერებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ გასულ სამეურნეო წელს ფულადი შემოსავალი 3.320.684 მანეთს შეადგენდა. წარმატებით ვითარდება მევენახეობა. ამ დარგიდან მიღებულია ორი მილიონ ნახევრამდე მანეთი. კოლმეურნეობამ ააშენა ელექტროსადგური, წყალსადენი, აბანო, სახერხი ქარხანა, მარანი, კანტორა, კლუბი, მეცხოველეობის კაპიტალური სადგომები და სხვ.

დიდად გაიზარდა ყურძნის მოსავლიანობა. თუ 1953 წელს 54 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებული იყო 83 ცენტნერი, 1955 წელს მივიღეთ 122 ცენტნერზე მეტი. კარგი მოვლის შედეგად უფრო მეტი მოსავლის მოყვანა შეიძლება. გასულ წელს ასევე გაიზარდა სიმინდის მოსავლიანობა. სიმინდის მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე შარშან მიღებულია 25,5 ცენტნერი ნაცვლად 1953 წელს მიღებული 14,6 ცენტნერისა. თუ 1953 წელს საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მივიღეთ 644 ლიტრი რძე, გასულ სამეურნეო წელს წველადობამ 764 ლიტრი შეადგინა. დიდ შემოსავალს იძლევა ბოსტნეული კულტურები და ხეხილის ბაღები. მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცხოველეობის საკვები ბაზა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სიმინდს. წინა წლებში ეს კულტურა ითესებოდა 80 ჰექტარზე. გასულ წელს დავთესეთ 100 ჰექტარი, მივიღეთ უხვი მოსავალი მარცვლად და დიდძალი სასილოსე მასა. წელს სიმინდის ფართობი კიდევ 16 ჰექტარით გადიდდება. შარშან პირველად დავაკონსერვეთ სიმინდის ტაროები და პირუტყვს სუკულენტური საკვები მივიღეთ. ამის შედეგად ძროხების წველადობა თითქმის 25 პროცენტით გადიდდა.

გასულ სამეურნეო წელს კოლმეურნეთა ნაყოფიერმა შრომამ უზრუნველყო უხვი მოსავლის მიღება. თვითეულ შრომადღეზე გაიცა 23 მანეთი და 33 კაპიკი, 2 კილოგრამი მარცვლეული, 770 გრამი ღვინო. პრემია-დანამატის სახით გაცემულია ასობით ფუთი ღვინო.

ჩვენს კოლმეურნეებს დიდადახარებთ საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებები, რომლებიც ფართო უფლებებს ანიჭებენ მათ საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისათვის. ისინი მხურვალედ მიესალმებიან ამ ახალ ღონისძიებებს და იბრძოლებენ მათი განუხრელად განხორციელებისათვის.

მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულებმა ვიკისრეთ ახალი ვალდებულებანი: თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 150 ცენტნერი ყურძენი, 26 ცენტნერი სიმინდი, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე — 900 ლიტრი რძე. 1956 წელს გავანაღდებთ ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე რძის მიღების პერსპექტიულ გეგმას, ხოლო 1957 წლისათვის — ხორცისა და კვერცხისას. სანიმუშოდ ჩავატარებთ საგაზაფხულო თესვას.

**დ. გოგოგერიშვილი,**
გუდაუთის რაიონის ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.



სურათზე: გულრიფშის რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციის გასხვლა მექანიზებული წესით.
ფოტო გ. ტოლმაჩევისა.

## პირველი გაზაფხული

სუბტროპიკულმა ბაღნარებმა, მინდორ-ველებმა გამოღვიძება იწყეს. მზის სხივებს თანდათანობით ემატება სითბო და მხვნელ-მთესველებიც მინდვრად არიან გასული. ყველა ერთი გრძნობით გამსჭვალულა, ყველას სურს მშობლიური პარტიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს საქმით უპასუხოს.

დაიწყო მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გაზაფხული. ამ გაზაფხულის პირველ დღეებში აფხაზეთის მშრომელებმა იდღესასწაულეს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცდამეთხუთმეტე წლისთავი. ამ ხნის განმავლობაში აფხაზეთის ასსრ მშრომელთა ცხოვრებაში მოხდა დიადი გარდატეხა. იგი მტკიცედ დაადგა ეკონომიური აღორძინებისა და სოციალისტური აყვავების დიდებულ გზას. აფხაზეთის მშრომელთა ბრძოლისა და შრომის შედეგად, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, ქართველი ხალხის მხარდამხარ მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული.

როგორ არა ჰგავს საბჭოთა აფხაზეთის პირველი წლების გაზაფხული უკანასკნელი წლების გაზაფხულს: მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გაზაფხული ხომ უფრო მშვენიერი და მდიდარია. აფხაზეთის 218 კოლმეურნეობასა და 15 საბჭოთა მეურნეობაში, 7 მტს-ში შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული.

აფხაზეთის მშვენებას წარმოადგენს სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ტუნგო, გერანი, ყურძენი, ხილი კოლმეურნეობათა შემოსავლის დაუშრეტელი წყაროა. განვლილ ხუთწლედში დიდად განვითარდა ჩაის კულტურა. ამჟამად მას ცამეტ ათას ჰექტარზე მეტი უკავია. დიდად გაიზარდა ჩაის ფოთლის მოსავლიანობა. საკმარისია ითქვას, რომ 1940 წელს საშუალოდ ჰექტარზე მოკრეფილი იყო 725 კილოგრამი. ამჟამად მოსავლიანობამ 2.162 კილოგრამს მიაღწია.

დღითიდღე მაღლდება კოლმეურნეობათა ეკონომიკა და კოლმეურნეთა შეძლებულობის დონე. ამას ისიც მოწმობს, რომ გასულ წელს მილიონერი იყო 102 კოლმეურნეობა. აქედან 20 კოლმეურნეობის შემოსავალი უდრიდა სამნახევარ მილიონ მანეთზე მეტს. 1940 წელს კი რესპუბლიკაში მხოლოდ ექვსი კოლმეურნეობა იყო მილიონერი.

სოციალისტურმა შრომამ წელში გამართა კოლმეურნეები. შეძლებულად და საამურად ცხოვრობენ ახლა კოლმეურნეები. მთელი აფხაზეთი ამაყობს თავისი შესანიშნავი ადამიანებით. მათ შორის აღსანიშნავი არიან სოციალისტური შრომის გმირები, ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის ოსტატები ლაისო და ნათელა ბულისკერიები, მარიამ არძინბა, ცაცა ქარდავა და სხვები, რომელთა მუშაობის გამოცდილება, ხერხები და მეთოდები ფართოდ ინერგება საკოლმეურნეო წარმოებაში.

საკოლმეურნეო ცხოვრებამ ააყვავა სოფელი ლიხნი, რომელიც ოციოდე წლის წინათ დიდად ჩამორჩენილი იყო. კოლმეურნეთა სახლები გაჩირაღდნებულია ილიჩის ნათურებით. ამ სოფელს ბევრი წარჩინებული ადამიანი ჰყავს. მარჯვენას უქებენ სოციალისტური შრომის გმირს კალისტრატე საქანიას. მისმა ოჯახმა შარშან გამომუშავებულ შრომადღეებზე მიიღო ოცი ათას მანეთზე მეტი და ერთ ტონამდე სიმინდი. იგი ამაყად დააქროლებს თავისი შრომითი დანაზოგით შეძენილ მსუბუქ ავტომანქანა „პობედას".

სოფელ ლიხნის მეცხრამეტე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა. მისი ფულადი შემოსავალი შარშან 7 მილიონ მანეთზე მეტი იყო. მეექვსე ხუთწლედში უფრო მკვეთრად გადიდდება ჩაისა და სხვა კულტურების მოსავლიანობა და შემოსავალი, საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

კოლმეურნეები გულდასმით სწავლობენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და ენერგიულად შრომობენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. სოხუმის რაიონის ბესლეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწველავი ს. ავერი, რომელმაც გასულ სამეურნეო წელს 20 ძროხიდან საშუალოდ თვითეულზე 1.241 ლიტრი რძე მიიღო, ახლა იბრძვის იმისათვის, რომ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1.400 ლიტრი რძე მიიღოს. გუდაუთის რაიონის სოფელ პრიმორსკოეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის გ. ეკუზიანის ვალდებულებაა 1956 წელს მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 14 ცენტნერი თამბაქო.

წარმატებით შრომობენ გალის რაიონის სოფელ შეშელეთის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. განვლილი სამეურნეო წლის ხუთი თვის განმავლობაში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველილია 355 ლიტრი რძე. აქაურმა მეცხოველეებმა გადაწყვიტეს გეგმით გათვალისწინებული 700 ლიტრის ნაცვლად თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 1.000 ლიტრი რძე. კოლმეურნეობას პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებული ჰქონდა მიმდინარე წელს მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 25 ცენტნერი სიმინდის მოყვანა. ყრილობის მასალების შესწავლასთან დაკავშირებით მან ვალდებულება იკისრა საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 50 ცენტნერი სიმინდი, ხოლო ჩაის პლანტაციის მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 3.300 კილოგრამის ნაცვლად მოიყვანოს 4.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მოწინავე მეჩაიეთა მ. არდიას, მ. არქანიას, ვ. არდიას პირობაა თვითეულმა მათგანმა 0,5 ჰექტარზე მოიყვანოს 4-5 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. ისინი ამთავითვე მტკიცე საფუძველს უყრიან ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვ მოსავალს. მეტი ჩაი, ციტრუსოვანთა ნაყოფი, სიმინდი, ყურძენი, ხილი, მეცხოველეობის პროდუქტები ჩვენს სამშობლოს! — ამ ლოზუნგით შრომობენ კოლმეურნეები, მექანიზატორები, და პირობას იძლევიან მიაღწიონ ახალ გამარჯვებას.

**ნ. ჯანჯღავა,**
**ი. გოგეჩია,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

# „უდიდესი წვლილი მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეში"

## დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგების შესახებ

ლონდონი, 12 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „დეილი უორკერი" იუწყება, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 10 და 11 მარტს გაიმართა, პარტიის გენერალური მდივნის თანაშემწემ ჯორჯ მეტიუზმა გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შესახებ.

მეტიუზმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყრილობის მასალები დიდმნიშვნელოვანი წვლილია მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში. დიდი ბრიტანეთის მუშათა მოძრაობისათვის, მომხსენებლის სიტყვით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ მასალებში მოცემულ თეორიულ დებულებებს სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნის გადასვლის ფორმების შესახებ.

გამოვიდა რა სხდომაზე, პარტიის გენერალურმა მდივანმა ჰარი პოლიტმა თავის სიტყვაში დაახასიათა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური წარმატებები.

აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მიესალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, როგორც „უდიდეს წვლილს მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეში".

„ამ გადაწყვეტილებებს, — ნათქვამია რეზოლუციაში, — უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ყველა ინგლისელისათვის, რომელიც მშვიდობას ესწრაფვის, და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ინგლისის მუშათა მოძრაობისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე დაადასტურა საბჭოთა კავშირის თანმიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკა. მან კვლავ ცხადყო, რომ საბჭოთა პოლიტიკას საფუძვლად უდევს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი და რომ საბჭოთა ხელმძღვანელებსა და ხალხს სურთ მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა ყველა ხალხთან, კერძოდ, დიდი ბრიტანეთის ხალხთან.

გვჯერა რა, რომ ხალხთა ძალები და მშვიდობისათვის მოძრაობის ძალები საკმაოდ დიდია, რათა თავიდან აგვაცილონ მესამე მსოფლიო ომი, ყრილობამ კიდევ უფრო განუმტკიცა რწმენა მშვიდობის ყველა მომხრეს და განამტკიცა საერთაშორისო მოძრაობა მშვიდობისათვის".

# წყალში ჩაუშვეს გემი, რომელიც დასავლეთ გერმანიაში ააგეს საბჭოთა კავშირის დაკვეთით

ლუბეკი, 11 მარტი. (საკდესი). გუშინ ლუბეკის გემთსაშენზე საზეიმო ვითარებაში ჩაუშვეს წყალში 4.600 ტონა წყალწყვის რეფრიჟერატორი „უმანი", რომელიც „ლუბეკერ-მაშინენბაუ ა. გ." ფირმამ ააშენა საბჭოთა კავშირის დაკვეთით.

ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველმა მ. გ. სენინმა და ფირმის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა. ფირმის დირექტორმა შიმლმა, რომელიც მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების წინაშე გამოვიდა, განაცხადა, რომ ახალი გემის აშენება ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მშვიდობიანი ურთიერთობის გამტკიცების საქმეს.

„ლუბეკერ-მაშინენბაუ ა. გ." საბჭოთა კავშირის დაკვეთით აშენებს ხუთ რეფრიჟერატორს. ორი რეფრიჟერატორი („იანა" და „ინდიგირკა") უკვე გადაეცა საბჭოთა თევზსაჭერ ფლოტს.

# დამთავრდა არაბთა სამი სახელმწიფოს მეთაურების თათბირი

კაირო, 12 მარტი. (საკდესი). დამთავრდა არაბთა სამი სახელმწიფოს მეთაურების — ეგვიპტის პრეზიდენტის ნასერის, სირიის პრეზიდენტის კუატლისა და საუდის არაბეთის მეფის საუდის თათბირი, რომელიც 5 დღეს გაგრძელდა. დღეს რესპუბლიკის სასახლეში ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას.

არაბთა სამი სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა, როგორც პრესა იუწყება, თავიანთ თათბირებზე განიხილეს საკითხთა ფართო წრე, რომლებიც ეხება არაბთა ქვეყნების თანამშრომლობის განმტკიცებას და არაბ ხალხთა დარაზმვას. თათბირის მონაწილეებმა განიხილეს არაბთა სახელმწიფოების თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა და პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო დარგებში მათი მოქმედების კოორდინაციის ღონისძიებანი.

# არაბთა სამი სახელმწიფოს მეთაურების კომუნიკე

ლონდონი, 12 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კაიროდან იუწყება, 12 მარტს ეგვიპტის, სირიისა და საუდის არაბეთის მეთაურებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც აცხადებენ, რომ მათ შეიმუშავეს არაბთა სახელმწიფოების უშიშროების უზრუნველყოფის, არაბთა სამყაროს საიმედო სტრუქტურის შენარჩუნების, ისრაელის მხრივ აგრესიის საფრთხისა და უცხოელთა ბატონობისაგან მისი დაცვის ყოვლისმომცველი გეგმა. არაბთა სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ არაბთა სამყაროს დაცვა არაბთა ქვეყნების სასიცოცხლო საქმე უნდა იყოს მათი უშიშროების მოთხოვნების შესაბამისად, უცხო სახელმწიფოებთან რაიმე პაქტის ფარგლებს გარეშე.

# საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 13 მარტი. (საკდესი). ეროვნულმა კრებამ ხმის დიდი უმრავლესობით გამოუცხადა ნდობა გი მოლეს მთავრობას სამ საკითხში, რომლებიც დასმული იყო ალჟირში მთავრობის საგანგებო რწმუნებათა კანონპროექტთან დაკავშირებით. პირველ საკითხში მთავრობამ მიიღო 463 ხმა, წინააღმდეგ 62, მეორე საკითხში — 451 ხმა და წინააღმდეგ 72, მესამე საკითხში — 465 ხმა და წინააღმდეგ 49. ზოგიერთმა დეპუტატმა თავი შეიკავა სამივე აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრაში.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ კენჭისყრას მეოთხე საკითხზე ნდობის შესახებ, რომელიც მთლიანად კანონპროექტს შეეხება.

# გი მოლეს გამოსვლა

პარიზი, 12 მარტი. (საკდესი). მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გი მოლემ, რომელიც დღეს ლონდონიდან დაბრუნდა, სადაც მოლაპარაკება ჰქონდა ინგლისის პრემიერ-მინისტრ იდენთან, სიტყვა წარმოთქვა ინგლისურ-ამერიკული პრესის ასოციაციაში გამართულ დარბაზობაზე.

ილაპარაკა რა ამ მოლაპარაკების შედეგებზე, გი მოლემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მან და იდენმა მიაღწიეს სრულ თანხმობას, რომ საჭიროა „უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცეს მუშაობას, რომელიც განიარაღებას შეეხება".

გი მოლემ თქვა, რომ მოლაპარაკების მსვლელობაში განიხილეს გეგმა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში მოამზადა საფრანგეთის წარმომადგენელმა ჟიულ მოკმა. ეს გეგმა, თქვა გი მოლემ, ითვალისწინებს ყველა წინადადებას განიარაღების დარგში, რომლებიც ლიდმე შეიტანეს როგორც დასავლეთის ქვეყნებმა, ისე საბჭოთა კავშირმა. მან დასძინა, რომ განიხილეს აგრეთვე ინგლისის წინადადებანი, რომლებსაც შეუძლიათ შეავსონ და გააუმჯობესონ საფრანგეთის გეგმა". რამდენიმე დღის შემდეგ, თქვა გი მოლემ, გამოქვეყნდება „საფრანგეთ-ინგლისის გეგმა განიარაღების საკითხზე". ამასთან მან იმედი გამოთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მხარს დაუჭერს ამ გეგმას.

შემდეგ გი მოლემ განაცხადა, რომ მოლაპარაკება შეეხო აგრეთვე ეკონომიურ საქმიანობას, რომელიც დასავლეთის ქვეყნებმა მთელ მსოფლიოში უნდა განახორციელონ. მოლაპარაკების მონაწილეებს მიაჩნიათ, როგორც გი მოლეს განცხადებიდან ჩანს, რომ ეს საქმიანობა უნდა განხორციელდეს ეკონომიურად მთელ რიგ სუსტად განვითარებულ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობის საწინააღმდეგოდ. გი მოლეს აზრით, დასავლეთის ქვეყნებმა „უფრო ცოცხალი და კონკრეტული უნდა გახადონ თავიანთი ღონისძიებანი" ამ დარგში.

შეეხო რა იდენთან მოლაპარაკების შესახებ კომუნიკეს იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია საფრანგეთისა და ინგლისს შორის „მჭიდრო და რეგულარულ" კონსულტაციებზე, გი მოლემ განმარტა, რომ ყოველთვის, როცა საჭირო იქნება, ამ კონსულტაციებში მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა „დაინტერესებული ქვეყნები".

შემდეგ გი მოლემ უპასუხა მთელ რიგ კითხვებზე, რომლებიც ჩრდილოეთ აფრიკის ამბებს შეეხება.

დასასრულ გი მოლემ თქვა, რომ მან მოაგონა იდენს საფრანგეთის შეშფოთება ბაღდადის პაქტის შესახებ. „მაგრამ ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ ხაზგასმით აღგვენიშნა, — თქვა მან, — რომ მსოფლიოს ამ რაიონში, ისევე როგორც ყველგან სხვა ადგილებში, იქნება ეს ჩრდილოეთ აფრიკაში, შუა აღმოსავლეთში თუ შორეულ აღმოსავლეთში, სავსებით საჭიროა, რომ თავისუფალმა სახელმწიფოებმა (გი მოლე ასე უწოდებს დასავლეთის ქვეყნებს. — რედ.) ყურადღება მეტწილად მიაქციონ ეკონომიურ საქმიანობას, ვიდრე სხვა ფორმის საქმიანობას".

ჟურნალისტთა წრეებში გი მოლეს ამ სიტყვებს განმარტავენ, როგორც იმის აღიარებას, რომ ძალაში რჩება საფრანგეთსა და ინგლისს უთანხმოება, რომელიც გამოწვეულია ახლო აღმოსავლეთში ინგლისის მიერ ბაღდადის სამხედრო პაქტის შექმნით.



თბილისის ლენინის რაიონის საბავშვო ბაღი № 80. სურათზე: აღმზრდელი მაყვალა ძიძინაშვილი ბავშვებს ართობს.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

# ნადირობის ახალი ვადები

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაკრძალთა და სანადირო მეურნეობის სამმართველომ გამოაქვეყნა მითითება სრულიად აიკრძალოს საგაზაფხულო ნადირობა გარეულ ფრინველზე 1956 წელს სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე, გარდა ჩრდილოეთის და შორეული აღმოსავლეთის რაიონებისა. აქ საგაზაფხულო ნადირობა განსაზღვრულია ორი კვირის ვადით. აკრძალულია აგრეთვე ნადირობა ფრინველის საგაზაფხულო გადაფრენის გზებზე მდინარეების არგუნის, შილკის, ონონის, სელენგის აუზებში და თეთრი ზღვის კანდალაქშის ყურეში.

მნიშვნელოვნად ძლიერდება ტყის დაცვის ორგანოების, ეგერთა შემადგენლობისა და სახელმწიფო სამონადირეო ინსპექციის ზედამხედველობა დადგენილი წესის დაცვისადმი.

გარეულ ფრინველზე საშემოდგომო ნადირობის ვადები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე დაწესებულია 12 აგვისტოდან. (საკდესი).

# ინდოეთის პრესა ნერუსა და პინოს მოლაპარაკების შესახებ

დელი, 12 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ პინოს, რომელიც დელში იმყოფება, გუშინ ორი შეხვედრა ჰქონდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუსთან. ამ შეხვედრების დროს, როგორც გაზეთები აღნიშნავენ, სხვა საკითხებს შორის განხილულ იქნა ინდოჩინეთის საკითხი და, კერძოდ, მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში.

გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოლაპარაკება ნერუსა და პინოს შორის მიმდინარეობდა „უფრო ჰარმონიულ ატმოსფეროში", ვიდრე მოლაპარაკება დალესსა და ნერუს შორის.

გაზეთი „სტეიტსმენიც" აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის ურთიერთობის საკითხში, რომელიც განხილულ იქნა ნერუსა და პინოს შეხვედრის დროს, ინდოეთის პოზიცია უფრო უახლოვდება საფრანგეთის თვალსაზრისს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის თვალსაზრისს.

# შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა

სტოკჰოლმი, 13 მარტი. (საკდესი). გაზეთ „მორგონ ტიდნინგენში" გამოქვეყნებულია საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა, რომ პრემიერ-მინისტრი ერლანდერი აპირებს გაემგზავროს საბჭოთა კავშირში. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „ვიზიტს ისეთივე ხასიათი ექნება, როგორიც ჰქონდა დანიისა და ნორვეგიის პრემიერ-მინისტრების ვიზიტებს საბჭოთა კავშირში".

სტოკჰოლმის რადიო იუწყება, რომ პრემიერ-მინისტრი ერლანდერი საბჭოთა კავშირში გაემგზავრება 29 მარტს და სტოკჰოლმში დაბრუნდება 10 აპრილს.

# დალესი კოლომბოში ჩავიდა

ლონდონი, 11 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს დელიდან კოლომბოში ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯონ ფოსტერ დალესი. ჩასვლის შემდეგ იგი შეხვდა ცეილონის პრემიერ-მინისტრს ჯონ კოტალავალას, რომელსაც ესაუბრა საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბერძნეთის წარმომადგენლის წერილი

ნიუ-იორკი, 11 მარტი. (საკდესი). 10 მარტს საბერძნეთის დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა წერილი, რომელიც საბერძნეთის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხ. პალამასმა წარუდგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ჰამარშელდს.

წერილში გამოთქმულია ენერგიული პროტესტი ინგლისის მთავრობის მიერ კვიპროსიდან არქიეპისკოპოს მაკარიოსისა და სხვა ბერძენი მღვდლების გაძევების წინააღმდეგ. წერილში მკაცრი ტონით არის დახასიათებული ინგლისის წინადადება მოლაპარაკებაში კვიპროსის შესახებ და აღნიშნულია, რომ ამ მოლაპარაკების ჩაფუშვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ინგლისის მთავრობას. „ინგლისის მთელი მიზანი, — ნათქვამია წერილში, — არის ის, რომ ყოველგვარი საშუალებით, რაც მას მოეპოვება, და რადაც უნდა დაუჯდეს განაგრძოს თვითნებური კოლონიური მმართველობა, რომელიც თავს მოახვიეს კვიპროსს".

წერილი შეიცავს თხოვნას გაავრცელონ ეს დოკუმენტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს შორის.

# დალესის ვიზიტი ინდონეზიაში

ნიუ-იორკი, 12 მარტი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჯაკარტიდან იუწყება, დღეს ინდონეზიის დედაქალაქში ერთი დღის ვიზიტით ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი. აეროდრომზე დალესს შეხვდნენ დემონსტრანტები, რომლებიც წარმოთქვამდნენ ლოზუნგს — „ძირს სეატო!"

ქალაქში დალესის ჩასვლასთან დაკავშირებით გაიმართა დემონსტრაცია. დემონსტრანტებს მიჰქონდათ პლაკატი, რომელზეც ეწერა —„ჩვენ არა გვსურს ომი!".

# ოლენჰაუერის განცხადება

ბერლინი, 12 მარტი. (საკდესი). როგორც ადენ-ის სააგენტო იუწყება, 10 მარტს ბერგნოიშტადტში, ბონის ახლოს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ოლენჰაუერმა მოითხოვა, რომ ბონის მთავრობამ აწარმოოს დამოუკიდებელი, ამერიკის შეერთებული შტატების გავლენისაგან თავისუფალი, საგარეო პოლიტიკა. ბონა, თქვა ოლენჰაუერმა, პრაქტიკულად საკუთარ საგარეო პოლიტიკას კი არ ახორციელებს, არამედ სჯერდება ვაშინგტონის ხაზის მექანიკურად და პასიურად განხორციელებას. გერმანიის პრობლემის გადაჭრა მჭიდროდ არის დაკავშირებული განიარაღების პრობლემასთან და კოლექტიური უშიშროების სისტემასთან.

# სტუდენტთა მსოფლიო საზამთრო ასპარეზობაზე

ვარშავა, 12 მარტი. (საკდესი). ვარშავაში გრძელდება სტუდენტთა მე-11 მსოფლიო საზამთრო ასპარეზობის მონაწილე ჰოკეისტთა შეხვედრები. გუშინ საღამოს მოეწყო ორი შეხვედრა. პირველში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სტუდენტობის წარმომადგენლები ეთამაშებოდნენ პოლონეთის გუნდს. მოიგეს პოლონელმა სპორტსმენებმა ანგარიშით 5:3.

შემდეგ ყინულის მოედანზე გამოვიდნენ საბჭოთა და რუმინელი ჰოკეისტები. შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა გამარჯვებით ანგარიშით 5:0. ხუთი დღის შეჯიბრების შემდეგ წინ არის საბჭოთა კავშირის გუნდი, რომელმაც ექვსი ქულა მოაგროვა.

ვარშავა, 12 მარტი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გრძელდება სტუდენტთა XI მსოფლიო ასპარეზობა. ქალთა შორის გიგანტურ სლალომში ჩემპიონის წოდება მოიპოვა მენდეროვამ (ჩეხოსლოვაკია), ვაჟთა შორის—ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენმა სტელმა. საბჭოთა სპორტსმენებს ამ სახეობის სპორტის შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ფიგურულ ციგურაობაში პირველ ადგილზე გამოვიდა 15 წლის ავსტრიელი მოსწავლე ი. მუსილი, რომელიც კონკურსის გარეშე გამოდიოდა. ამ სახეობის სპორტში ჩემპიონის წოდება მიენიჭა უნგრელ სტუდენტ ქალს იურეკს. ვაჟთა შორის გამარჯვა ჩეხოსლოვაკიის ფიგურისტმა კ. დივინმა. საბჭოთა სპორტსმენი ვალენტინ ზახაროვი გამოვიდა მეხუთე ადგილზე, ხოლო ოლეგ სამანტოვსკი — მეექვსე ადგილზე.

გუშინ ზაკოპანეში გაიმართა მოთხილამურეთა შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში. ჩემპიონის წოდება და ოქროს მედალი სტუდენტთა შორის მოიპოვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ნ. კამენსკიმ. მეორე ადგილზე გამოვიდა აგრეთვე საბჭოთა სპორტსმენი ხ. სკვორცოვი, მესამეზე — პოლონელი სპორტსმენი ი. ფორტეცკი.

# რამდენიმე სტრიქონით

⊙ წელს სრულდება საქართველოს თეატრალური საზოგადოების არსებობის ათი წელი. ამ თარიღის აღსანიშნავად გამოსაცემად მზადდება წიგნი მისი ათი წლის მუშაობის შესახებ.

⊙ ვარაზისხევის ქუჩაზე დამთავრდა ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის მე-2 სექცია, რომელიც ეკუთვნის სამრეწველო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მუშამოსამსახურეებს.

⊙ კოჯორში ახალი დასასვენებელი სახლის მშენებლობისათვის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიწის ნაკვეთი გამოუყო ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანას.

⊙ ახალი ხამსართულიანი კლუბის მშენებლობა დამთავრდა დიდუბის ქუჩაზე. იგი ეკუთვნის ყრუ-მუნჯთა საზოგადოებას. კლუბს აქვს დარბაზი 250 მაყურებლისათვის, ბიბლიოთეკა, რამდენიმე ოთახი წრეების მუშაობისათვის.

⊙ ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ბარნოვისა და არაყიშვილის ქუჩების კუთხეში მიწის ნაკვეთი გამოეყო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

# ქუთაისის თეატრის სპექტაკლები

დიდი ხანი არ არის, რაც ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა ახალ შენობაში დაიწყო მუშაობა. ახლა ამ თეატრის ნიჭიერ კოლექტივს ყველა შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ მთელი ძალით გაშალოს შემოქმედებითი მოღვაწეობა.

პირველი სპექტაკლი, რომელიც თეატრის ახალ შენობაში ნახა ქუთაისელმა მაყურებელმა, იყო ლეო ქიაჩელის დრამა „ტარიელ გოლუა".

თეატრი ამ დრამის განსახიერებისას დიდი ამოცანის წინაშე იდგა. მაყურებელს სცენაზე უნდა ენახა და ეგრძნო შრომისმოყვარე, შეგნებული, რევოლუციონერი გლეხის ტარიელ გოლუას სპეტაკი სახე და ხასიათი, ისე როგორც იგი დახატულია რომანში. მაყურებელს მოწინავე, რევოლუციონერი ახალგაზრდების ლევანის, ბეჟანის, თინას სახით უნდა ეგრძნო ახლის, მზარდის უძლეველობა და სიდიადე. სპექტაკლში დამაჯერებლად, მხატვრული ოსტატობით უნდა ასახულიყო მშრომელთა რევოლუციური ბრძოლა. თეატრს მაყურებლამდე მთელი სიმძაფრით უნდა მიეტანა იმ დროის გაბატონებული, მაგრამ წარმავალი კლასის წარმომადგენლის დავითისა და მისი მარჯვენა ხელის ყაჩაღ გაიოზ გადალენდიას განწირული ბრძოლა თავიანთი ძირმომპალი საყრდენ-საფუძვლის შენარჩუნებისათვის.

ყველაფერი ეს რომანში მაღალი მხატვრული ოსტატობით არის გადაწყვეტილი.

ლეო ქიაჩელს ტარიელის როგორც ტიპის დასახატავად დრამაშიც ოსტატურად გამოუყენებია ის ნათელი ფერები, რომლებსაც ასე მოხდენილად ხმარობს რომანში. ცხადია, ეს ფერები სცენაზე უფრო მკრთალად ანათებენ, ვიდრე წიგნში, მაგრამ მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მაყურებლამდე მაინც აღწევს ხასიათისა და მოქმედების მკვეთრი ნიუანსები, რომლებიც ტარიელისათვის დამახასიათებელია.

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში ტარიელ გოლუას როლს ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. მეგრელიშვილი.

ტარიელ გოლუას სცენიურ სახეში ფესვები ღრმად აქვს გადგმული ადამიანურ გრძნობებს, მაგრამ მასში ყველაფერს ჩრდილავს გმირის მებრძოლი ხასიათი. ამიტომ სავსებით გამართლებულია, როცა ვ. მეგრელიშვილის ტარიელი სიხარულის თუ მწუხარების დროს ფოლადივით შეუდრეკელი დგას თანასოფლელებს შორის. მოზღვავებული სიხარულისა თუ თავზარდამცემი მწუხარების დროს ის ხედავს ახალი, შეტევითი ბრძოლის ნათელ პერსპექტივას. როლის ასე გაგება უთუოდ მისასალმებელია.

როცა ტარიელ გოლუას როლს ვეხებით, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ერთი მეტად სამწუხარო ნაკლი, რომელიც ქუთაისის თეატრის სპექტაკლს ახლავს. ტარიელის ეზო და სახლკარი, რომელიც რომანში ასე სათუთად არის დახატული, სპექტაკლში წარმოდგენილია საცოდავად დაწნული ღობითა და ყავარაყრილი, კედლებჩაზნექილი ოდით. საერთოდ, სპექტაკლის მხატვრული გაფორმების ხარისხი (მხატვარი დ. თაყაიშვილი) არ შეეფერება ქუთაისის ახალი თეატრის დარბაზისა და სცენის მოთხოვნილებას.

სპექტაკლში ტარიელ გოლუას უპირისპირდება მჩაგვრელთა კლასის წარმომადგენელი დავითი. იგი ვერაგი ადამიანია, თავისი კლასის ერთგული და ყოველი ახლის მოსისხლე მტერი. ეს სახე სწორედ ასე გაიგო და წარმოადგინა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა შ. პირველმა.

გაიოზ გადალენდია რომანში მკვეთრად გამოკვეთილი ტიპია. სპექტაკლშიც მას გარკვეული ადგილი უჭირავს. მსახიობი გ. კოსტავა ზომიერი და მოფიქრებული თამაშით გმირის სახეს სრულყოფილად ხსნის. ეს როლი მსახიობ გ. კოსტავას წარმოსახვით უფრო მიმზიდველი იქნებოდა, ბეჟანისა და ლევანის როლების შემსრულებლები მხარდამხარ რომ მიჰყვებოდნენ მას.

ლევანი ტარიელის შემდეგ პირველი გმირია, რომელიც იდეურად ხელმძღვანელობს გლეხთა აჯანყებას. მ. ბებურიშვილის ლევანი მოდუნებულია, მის მოქმედებასა და საუბარში არ იგრძნობა ახალგაზრდა მებრძოლი რევოლუციონერი. ამიტომ არის, რომ ყველაზე ძლიერი სცენა, როცა გაიოზ გადალენდია ვერაგულად კლავს ლევანს, სათანადო გამოხმაურებას ვერ პოულობს მაყურებელში.

ასევე მოდუნებულად მიყავს ბეჟანის როლი მსახიობ გ. კოკელაძესაც.

თინას როლს ნაზად, მგზნებარე ტემპერამენტით ასრულებს მსახიობი ქ. კოლხიდელი.

მსახიობმა ა. ჩიქვინიძემ ამ სპექტაკლში ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი შემოქმედებითი ოსტატობა. მაყურებელს დიდხანს დაამახსოვრდება გლეხი ტაგუს სახე, რომელსაც ასე კოლორიტულად და დამაჯერებლად ასრულებს იგი.

რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს შ. ხაჯალიას უთუოდ სწორად გაუგია მუნჯი ბაჩუას როლი.

სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობს მელოდიური მუსიკა (კომპოზიტორი შ. მილორავა). სპექტაკლში თავის ადგილზე და ორგანულად არის გამოყენებული ხალხური მუსიკის მოტივები, კერძოდ, მეგრული ზარი, რომელიც ორკესტრისა და გუნდის შესრულებით კიდევ უფრო აძლიერებს ტარიელისა და ხალხის მწუხარებას ლევანის სიკვდილის გამო.

საერთოდ სპექტაკლი „ტარიელ გოლუა" (დამდგმელი რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე) ქუთაისის სახელმწიფო თეატრის ერთ-ერთი საინტერესო დადგმაა.

* * *

დ. თაქთაქიშვილის „გრიბოედოვი" მეტად საინტერესო სიუჟეტზეა აგებული. დიდი რუსი მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის ალექსანდრე გრიბოედოვის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ახლო კავშირი საქართველოსთან, პეტერბურგი და ირანი, მწერლის პირადი ცხოვრება და მისი იდეალები — აი საკითხები, რომლებიც თავმოყრილია პიესაში.

სპექტაკლის წარმატებას ძირითადად ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ თეატრში აღმოჩნდა მსახიობი, რომელმაც საუცხოოდ განასახიერა მთავარი როლი. მსახიობ გ. ნაცვლიშვილის მიერ წარმოსახული ა. გრიბოედოვი სცენაზე ცოცხლობს როგორც ნამდვილი გმირი.

ამ სპექტაკლში საინტერესო მხატვრული სახეები შექმნეს და გარდასახვის კარგ მაგალითებს იძლევიან თ. პოკროვსკაია (მარფა), შ. ხაჯალია (საშკა), ა. ჩიქვინიძე (მაკნილი), ვ. მეგრელიშვილი (ალ. ჭავჭავაძე), ქ. კოლხიდელი (სონია), მ. გელაშვილი (ნინო), გ. კოკელაძე (სევინი), ნ. საღარაძე (ლედი).

სპექტაკლი კარგად არის დადგმული (რეჟისორი თ. ლორთქიფანიძე). იგრძნობა დახვეწილი გემოვნება, ეპოქის ცოდნა. მუსიკა, ცეკვა, კოსტიუმები და დეკორაციები სრულყოფილად გადმოგვცემენ დროსა და განწყობილებას, რომელიც სპექტაკლისათვის დამახასიათებელია.

და ასეთ საინტერესო სპექტაკლს თეატრი ზოგჯერ უპასუხისმგებლოდ უჩვენებს მაყურებელს. რომ არა ვთქვათ რა მოქმედების ტემპისა და მეტყველების მოდუნებაზე, მარტო ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ დღის სპექტაკლზე თეატრმა ირანის სასახლე ძველი თბილისის ხედის ფონზე უჩვენა, იმაზე მეტყველებს, თუ როგორ არ სცემს პატივს მაყურებელს თეატრის ზოგიერთი მუშაკი.

საერთოდ ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრმა, რომელიც წარმატებით იბრძვის იმისათვის, რომ მხარში ამოუდგეს თბილისის წამყვან თეატრებს, მეტი მომთხოვნელობა უნდა წაუყენოს თავის ნიჭიერ კოლექტივს, მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს სპექტაკლისადმი, ახალია იგი თუ ძველი, დღისით უჩვენებენ მას თუ ღამით. მაშინ თეატრი უთუოდ დაიმსახურებს მაყურებლის სამართლიან სიყვარულს.

ბ. თათარიშვილი.



სურათზე: სცენა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის დადგმიდან „გრიბოედოვი".

ფოტო ბ. მაღლაფერიძისა.

## დღეს
### თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ტოსკა, რუსთაველის სახელობის —. გლახის ნაამბობი, მარჯანიშვილის სახელობის— უცნობი ქალი, გრიბოედოვის სახელობის უბედური შემთხვევა (ახალი სპექტაკლი), სომხური დრამის—საიათნოვა, მუსიკალური კომედიის — საყვარელი დოსშვილი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — კოჭლი მეწისქვილე (აბონემენტი № 14, 5 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული—ჩვენი ქალიშვილი (8 ს.), თოჯინების ქართული — ბურატინოს თავგადასავალი (10 ს.), ფილარმონია — კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრის კონცერტი (საზამთრო დარბაზი, 9 ს.).

### კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, თბილისი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — მედოლის ბედი, ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, ოფიცერთა სახლი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი — მიწა და ადამიანები, კომკავშირელი, კოლმეურნე, კომუნარების ბაღი — ერთ მშვენიერ დღეს, კოლხიდა — სიყვარულის ასაკი, კიროვის სახელობის პარკი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — გაცრუებული ოცნებები, გორკის სახელობის კულტურის სახლი — ორი ოკეანის საიდუმლოება, დიდუბე — ანდრიუსის ბედი.

არტელი „მხატვარი" აწარმოებს სასულე და ეროვნული საკრავების (ჩონგური, ფანდური და სხვ.) შეკეთებას.

სამუშაოებს ასრულებენ კვალიფიციური ხელოსნები.

სასულე საკრავების შეკეთება ხდება ადგილობრივ.

შეკვეთა ფორმდება შემდეგი მისამართით: თბილისი, ჯორჯაძის ქ. № 2, „მხატვარი", ანგარიშსწორება გადარიცხვით.

როზალია, გრიგოლ ყაზახიშვილები ოჯახით იუწყებიან დისა და დედის

ციცილია ივანეს ასულ ზეკის

გარდაცვალებას. გამოსვენება 17-III, 3 ს. ბალანჩივაძის ქ. № 15.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი იუწყება რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის

ელო ანდრონიკაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14-III, 8 ს. ტოლსტოის ქ. № 2, გამოსვენება 15-III, 5 ს. ხელოვნების მუშაკთა სახლიდან, მახარაძის ქ. № 8.

მეუღლე ნიკოლოზ, შვილები მარო, მიხეილ, პეტრე, გრიგოლ, ნინო ოჯახებით იუწყებიან

დარო ანდროს ასულ ლიჩელის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-III მეჯვრისხევში (გორის რაიონი). გამოსვენება ბინიდან, ლენინის ქ. № 218.

მეუღლე თომა, შვილები ალექსანდრე, ლამარა, დები ოლია, ტატიანა, კლარა, ლენა, ძმები ვლადიმერ, ნიკოლოზ ოჯახებით იუწყებიან

მარიამ ალექსის ასულ გვასალია-ლუკავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-III, 8 ს. გამოსვენება 17-III 4½ ს. ლ. კავსაძის ქ. № 19.

მეუღლე დარიკო, შვილები სოსო, რევაზ, ცისანა, დები ნატაშა, ვანდა, ძმები სტეფანე, გიორგი ოჯახებით იუწყებიან

ანდრო კონსტანტინეს-ძე ნიკოლაიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-III სოფელ ნიგოითში (ლანჩხუთის რაიონი).

მეუღლე მაკრინე, შვილები მოსე, შალვა, ნიკოლოზ, იპოლიტე, ვალერიან, ანა ოჯახებით იუწყებიან

ლუკა მერაბის-ძე როყვას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-III სოფელ სუფსაში (ლანჩხუთის რაიონი).

მეუღლე ავქსენტი, შვილები ვერა, შურა, საშა, ნინო, პოლია, დები ოლია, ლიდა, ძმები აკაკი, მიხეილ ოჯახებით იუწყებიან

ლუბა კონსტანტინეს ასულ დარციმელია-დანელიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-III სოფელ ვედიდკარში (გეგეჭკორის რაიონი).

უე 00160

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.